# ახალგაზრდა კომუნისტი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი
11
სექტემბერი
№ 98 (11584)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმდინარეობს ოპერაცია თვალის სნეულებათა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში,

მარცხნივ პროფესორი ივა ბერიძე

## რატომ ვაგზავნით ავადმყოფებს კრასნოდარში, როცა მათი მკურნალობის ყველა პირობაა რესპუბლიკაში

იხ. მე-2-3 გვ.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეს-ცენტრისაგან

8 სექტემბერს გაიმართა წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომლის მუშაობაშიც, მისი წევრების გარდა, მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების მდივნები, საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა ინფორმაციებში აღინიშნა, თუ როგორ ემზადებიან პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები არჩევნებისათვის, რომელიც პირველად ჩატარდება მრავალპარტიულ, დემოკრატიულ საფუძველზე. მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის სიით წარსადგენ დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. პირველადი პარტორგანიზაციები რეკომენდაციას უწევენ რესპუბლიკის ღირსეულ მოქალაქეებს, მათ შორის უპარტიოებსაც — იურისტებსა და ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, მუშათა კლასისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებთაც ძალუძთ ღირსეულად დაიცვან მომავალ პარლამენტში რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები, ხელი შეუწყონ საქართველოს რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, სამართლებრივი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას. ყურადღება გამახვილდა საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამის უმთავრეს საკითხებზეც. ამ პროგრამამ პარტიის პროგრამასა და ეროვნული განვითარების კონცეფციასთან ერთად ნათლად უნდა წარმოაჩინოს საქართველოს კომპარტია, როგორც თვისებრივად განახლებული და ეროვნულ ნიადაგზე მკვიდრად მდგარი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც კიდევ უფრო მეტი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნულ მოძრაობაში, დასახოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული განახლების პროცესის შემდგომი კონკრეტული გზები.

სხდომაზე აღინიშნა პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, ყოველი კომუნისტის მტკიცე პოზიციის მობილიზებისა და გააქტიურების შესახებ წინასაარჩევნო პერიოდში. ითქვა იმის თაობაზეც, რომ, ერთის მხრივ, არ შეიძლება ზოგიერთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგე ორგანიზაციასთან ისეთივე მიუღებელი, მითუმეტეს არაეთიკური მეთოდებით ბრძოლა, როგორსაც ისინი მიმართავენ კომპარტიის წინააღმდეგ. ოპონენტებთან ურთიერთობა მხოლოდ ცივილიზებულ საზოგადოებაში მიღებული ნორმებით უნდა მოხდეს, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია კონსტრუქციული თანამშრომლობა, საქმიანი დიალოგი ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალასთან, რათა ყველამ იკისროს უმაღლესი მოქალაქეობრივი და ეროვნული პასუხისმგებლობა არჩევნების მშვიდ, დემოკრატიულ ვითარებაში ჩასატარებლად, იმისათვის, რომ სრულიად საქართველოს უზენაესი ინტერესები არავითარ შემთხვევაში ოდნავადაც არ დაჩრდილოს ვიწრო პარტიულმა, ჯგუფურმა ინტერესებმა და ამბიციებმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა გივი გუმბარიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საქართველოს ყველა მოქალაქის საყურადღებოდ!“ ანუ დაგვიანებული რეპლიკა ერთი რეკლამის გამო



რესპუბლიკური ოფთალმოლოგიური კლინიკის შენობა.

**სათაურში** გამოტანილი ამ სიტყვებით იწყებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აჭარკოოპკავშირის გამგეობის მოწოდება, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აუწყებდა იმის შესახებ, რომ აჭარკოოპკავშირმა „თვალის მიკროქირურგიის“ დარგთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის კრასნოდარის ფილიალთან (ს. ფიოდოროვის კლინიკა) ერთად, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დიაგნოსტიკისა და აღდგენითი მკურნალობის რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე, სამეურნეო ანგარიშზე გახსნა განყოფილება, სადაც მოეწყობა როგორც საბჭოთა, ისევე უცხოელი პაციენტების მაღალკვალიფიციური გამოკვლევა და მათი საოპერაციოდ გაგზავნა ქალაქ კრასნოდარის კლინიკაში. რეკლამა გვაუწყებდა, რომ კლინიკაში მკურნალობენ ისეთ ოფთალმოლოგიურ სნეულებებს, როგორიცაა: კატარაქტა, გლაუკომა, თანდაყოლილი შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე და ა. შ.

დიაგნოსტიკის ფასი 41 მანეთია, ერთ თვალზე ოპერაციის საშუალო ღირებულება 300 მანეთი.

●

გამოვიდა ისე, რომ რეკლამამ ამჯერად ანტირეკლამის ფუნქცია შეასრულა. რედაქციაში არ წყდება სატელეფონო ზარის ხმა, მივიღეთ რამდენიმე წერილიც.

გთავაზობთ ნაწყვეტს ერთ-ერთი წერილიდან (უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი წერილებიც ანალოგიური შინაარსისაა):

— ჩემი აზრით, ქართველ კაცს, თვალის ოპერაციისათვის არ უნდა დასჭირდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა, რადგან თბილისში, თვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (კრწანისის რაიონი) იგივე ოპერაციებს: კატარაქტა, გლაუკომა, სიელმე, შორსმხედველობა, წარმატებით ატარებენ ქართველი სპეციალისტები...

ქალბატონ ნ. ჰონიშვილს, დამსახურებულ პედაგოგს, როგორც წერილიდან გაირკვა, ამ საავადმყოფოს ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა მერაბ დვალმა გაუკეთა ოპერაცია, გადაუნერგა ხელოვნური ბროლი. ქ-ნი ნ. ჰონიშვილი დღეს უსათვალოდ წერს და კითხულობს. წერილს 5 პაციენტი აწერს ხელს და ხუთივე უსაზღვრო მადლობას სწირავენ არა მარტო თავიანთ მკურნალს — მერაბ დვალს, არამედ რესპუბლიკური საავადმყოფოს მედ-პერსონალს მთლიანად.

ცნობისათვის:

თვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, რომელიც 1980 წლამდე შეროზიას ქუჩაზე ფუნქციონირებდა, ძალზე დიდი ხნის ისტორია აქვს. 1892 წლის 24 ნოემბერს, სახელოვანმა დასტაქარმა გიგო ტარსაიძემ ჩამოაყალიბა სპეციალური თვალის სამკურნალო. იგი იყო ამ სამკურნალოს დირექტორი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. 1980 წელს, საავადმყოფომ შეროზიას ქუჩიდან კრწანისის უბანში ახლადაშენებულ, თანამედროვე კომპლექსში გადაინაცვლა...

2 წლის შემდეგ, თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკურ საავადმყოფოს არსებობის 100 წელი უსრულდება...

●

ბევრმა იცნებ არც იცის, რომ ამ საავადმყოფოში დღეს თვალის ურთულესი ოპერაციები კეთდება, უზუსტესი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების მეშვეობით ექიმები საოცრად მაღალ შედეგებს აღწევენ, თვალის სინათლეს უბრუნებენ ათასობით პაციენტს, სხვადასხვა სირთულის ოპერაციები უტარდება ყოველწლიურად 7 ათასამდე ავადმყოფს. მკურნალობენ ისეთ დაავადებებს, როგორიცაა: კატარაქტა, გლაუკომა, ტრავმა, სიელმე, ბადურის ჩამოცლა, სიმსივნე, ენუკლეაცია (თვალის ამოღება), ხელოვნური ბროლის გადანერგვა...

ძირითადი ბირთვი საავადმყოფოს წამყვანი ოფთალმოლოგებისა, წლების განმავლობაში მუშაობდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდნენ ფიოდოროვის, კრასნოვის, ავეტისოვის, ფელატოვის წამყვან კლინიკებში.

საავადმყოფო აღჭურვილია თანამედროვე, უახლესი, უცხოური აპარატურით...



ექიმი ქეთინო გოგოლაძე ნორჩ პაციენტთან;



მიმდინარეობს ოპერაცია;





საავადმყოფოს მთავარი ექიმი: გია ჩიქოვანი, ექიმები: ლია მანჯგალაძე და მანანა სიგუა;

დიაგნოსტიკის კაბინეტი;



პირველი ქირურგიული განყოფილების ექიმი მანანა კოლუაშვილი „კარლ ცაისის“ ფირმის დიაგნოსტიკური აპარატით ატარებს გამოკვლევას;

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტოები.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა სპეციალურად „ახალგაზრდა ივერიელისათვის“).

●

მკითხველს უსათუოდ დაებადება კითხვა: თუკი ასეთი კლინიკა დედაქალაქში არსებობს, და ის დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალით, თუკი აქ ტარდება ყველა სახის ოპერაცია, მაშინ რას მივაწეროთ აჭარკოოპკავშირის გამგეობის ესოდენი მონდომება?

დავიწყოთ იქიდან, რომ იდეა, რომელსაც აჭარკოოპკავშირის გამგეობა „ასხამს ფრთებს“, არახალია-ძველია. მოლაპარაკება მოსკოვის მიკროქირურგიის კომპლექსს (მმკ), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და თურქეთის ფირმა „სოიაკ“ შორის ორ წელიწადს გრძელდებოდა. ბოლოს შეთანხმდნენ...

ხელვაჩაურის რაიონში (ბათუმის ახლოს) უნდა გაიხსნას სასტუმრო-საავადმყოფო. აქ, წინასწარი შეთანხმებით, წლის განმავლობაში, ქირურგიული მკურნალობის მოკლე კურსი უნდა ჩაუტარდეთ უცხოელ პაციენტებს, ხოლო დარჩენილ **თავისუფალ დროს** მმკ დახმარებას აღმოუჩენს ადგილობრივ მოსახლეობასაც — რა თქმა უნდა სათანადო ანაზღაურებით.

სასტუმრო-საავადმყოფოს რამდენიმე სართული დაეთმობა ოფთალმოლოგიურ სამსახურს, მმკ კი შესაბამისად მოამარაგებს სასტუმრო-საავადმყოფოს სათანადო აპარატურით და დააკომპლექტებს მედ-პერსონალით.

**სადაურსა სად წაიყვან...**

ორიოდე წელია, რაც მმკ-მ (ს. ფიოდოროვის კლინიკა) გახსნა თავისი ფილიალი კრასნოდარში. ამ კლინიკაში (თუ რეკლამას დავუჯერებთ) ყოველწლიურად უნდა გაეკეთებინათ ასამდე ოპერაცია, პირველ ხანებში ფილიალი ასრულებდა ე. წ. გეგმას, მაგრამ სულ მალე კრასნოდარის მხარის რესურსები (ავადმყოფების მხრივ) ამოიწურა.

თანამშრომლები ხელფასს ითხოვდნენ და აი — იოლი გამოსავალი.

მმკ მოედო მთელს კავშირს...

**ჩვენთან ფიოდორივი არ გავიდა!**

**უკომენტაროდ:**

გასულ წელს, ლიტვაში, ფიოდოროვის ფირმამ დააპირა გაეხსნა თავისი ოფთალმოლოგიური კლინიკა, რომელშიც განზრახული ჰქონდათ ე. წ. „პროგრესული ოპერაციების“ კონვეიერული სისტემის დანერგვა.

ლიტვის ექიმებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს: ასეთი ინვაზია შეიძლება შეფასდეს, როგორც ოკუპანტთა კიდევ ერთი შემოჭრა, ამჯერად ჯანდაცვის სფეროში.

**გაზეთ „მოამბის“ რედაქციას:**

„მიუხედავად იმისა, რომ ფიოდოროვის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ „ოქროს მთებს“, ჩვენში „მოღალატეები“ ვერ აღმო[...] ჩინეს.

ბუნებრივია, თუ მეთოდი მარ[...] თლაც პროგრესული იქნებოდა [...] სარგებლობასაც მოგვიტანდა, მ[...] შინ ვიმსჯელებდით ამ საკითხზ[...] მაგრამ როდესაც ჩვენმა ექიმებ[...] ნახეს „კონვეიერული“ ოპერაცი[...] შემდეგ პაციენტები, რომლები[...] დაბრუნდნენ, განუვითარდათ ს[...] რიოზული კომპლიკაცია და მკვ[...] თრად გაუუარესდათ მხედველო[...] მათ გადაწყვიტეს არასოდეს [...] დაუშვან ლიტვის მიწაზე ისეთ[...] დაწესებულებები, რომლებშ[...] არა თუ კურნავენ, არამედ ასახი[...] რებენ ადამიანებს. ჩვენ ვფი[...] რობთ, რომ „ფიოდოროვის ფი[...] მა“ არ გაჩერდება და დაიწყე[...] პარტნიორების ძებნას სხვა რე[...] პუბლიკებში, აგრეთვე საზღვა[...] გარეთის ქვეყნებში, საიდანაც შ[...] ეცდება აკეთოს ფული ამ საეჭ[...] ოპერაციებით.

დაე, ლიტვის ექიმების პრინც[...] პულობა იყოს მაგალითი კოლ[...] გებისათვის...

**იონას ჯევეჩ[...]**

**ექიმი ოფთალმოლოგი, ლიტ[...]**

●

**გია ჩიქოვანი** — თვალის რე[...] პუბლიკურ-კლინიკური საავად[...] ყოფოს მთავარი ექიმი:

რატომ უნდა გადაიხადოს ავა[...] მყოფმა ფული ისეთ ოპერაციე[...] ში, რომლებიც თბილისში, თვალ[...] რესპუბლიკურ საავადმყოფო[...] უფასოდ კეთდება. დღეს დასამა[...] არ არის, რომ გარდა იმ ოფიც[...] ლური გადასახადისა (თითო თვა[...] 300 მანეთი), რომელსაც მმკ მ[...] ითხოვს, ჩვენს თანამემამულეე[...] ოპერაცია გაცილებით მეტი უჯდ[...] ბათ...

ჩვენს კლინიკაში თვალის სამ[...] ხური იმ დონეზეა, რომ თავისუ[...] ლად შეგვიძლია მოვიწვიოთ უ[...] ხოელი ავადმყოფები სამკურნ[...] ლოდ და თუ არ ვიწვევთ, მხოლ[...] და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ა[...] გვაქვს მათი კეთილმოწყობის ი[...] დი...

●

**ივა ბერაძე**—პროფესორი, თბ[...] ლისის ექიმთა დახელოვნების ინ[...] ტიტუტის კათედრის გამგე:

არ მიმაჩნია მართებულად, რ[...] თვალით ავადმყოფი ბათუმიდ[...] კრასნოდარის ფილიალში გავამ[...] ზავროთ მაშინ, როცა კრასნოდა[...] ში მომუშავე ოფთალმოლოგე[...] სწორედ თბილისის ექიმთა დახ[...] ლოვნების ინსტიტუტის თვალ[...] სნეულებათა კათედრაზე იმაღლ[...] ბენ კვალიფიკაციას. განა ეს [...] არის საგულისხმო?! რისთვის არ[...] საჭირო ბათუმის პორტში მმკ-ს გ[...] მის ჩამოყვანა და იქ ჩვენი ავა[...] მყოფების ფასიანი კონსულტ[...] ციები?

ჩემი აზრით, აჭარის ჯანმრთ[...] ლობის დაცვის სამინისტრომ [...] საკითხს სერიოზული ყურადღე[...] უნდა მიაქციოს. ცოდვა გამხელ[...] ლი სჯობს და ბოლო წლების გ[...] მავლობაში ავტონომიურ რესპუ[...] ლიკაში ვერა და ვერ გამოინ[...] სათანადო სახსრები თვალის [...] ბადერთი განყოფილების [შენო]ბის გასარემონტებლად.

**ცნობისათვის** — სარემონტო [...] მუშაოები არ დასრულებულა თ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის თვალის რესპუბლიკურ-კლინიკურ საავადმყოფოშიც...

მედ-პერსონალი სპეკულაციურ ფასებში ყიდულობს საჭირო ხელსაწყოებს...

მაღალ ფასებში იძენს ხელოვნურ ბროლს...

●

**გივი თოფურია** — თვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს პირველი ქირურგიული განყოფილების გამგე:

გული მტკივა, როცა ჩვენს პრესაში ვკითხულობ ამა თუ იმ რუსი პროფესორის ხოტბას, რომელმაც „ურთულესი" თვალის ოპერაცია ჩაატარა...

არადა, ამაზე უფრო რთულ ოპერაციებს, ჩვენში არატიტულოვანი მეცნიერებიც ატარებენ, უბრალო ექიმ-ორდინატორები. სამწუხაროდ, ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენი საავადმყოფოს კედლებს არ სცილდება...

აბა მაჩვენეთ თუნდაც ერთი რესპუბლიკური გაზეთი, სადაც წერია, რომ საქართველოში, თვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, წარმატებით ტარდება ბროლის იმპლანტაცია ანუ გადანერგვა, რომ საქართველოში დამზადებული ხელოვნური ბროლი მთელს კავშირში იყიდება (მალე ვალუტაზეც გაიყიდება). ვინ იცის, რომ ჩვენში კეთდება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა — ანტიგლაუკომატოზური, ბადურის ჩამოცლის, რქოვანას გადანერგვის, თვალბუდის სიმსივნეების, პლასტიკური, დიაბეტური რეტინოპათიების, მხედველობის ნერვის დვრილის, მე აღარაფერს ვამბობ სიელმესა და ტრავმებზე. წინათ ეს ოპერაციები მხოლოდ „ცენტრში" კეთდებოდა. დღეს ჩვენთან მთელი დატვირთვით მუშაობს გლაუკომის, ბავშვთა, ტრავმული, კონსერვატიული განყოფილებები...

მმკ-ს ამგვარი დახმარება არ სჭირდება ჩვენს რესპუბლიკას...

გაღატაკებულ ბიუჯეტში რაღა დაგვრჩა, რომ ისიც კრასნოდარში გავგზავნოთ?!

### ბოლოსიტყვაობის მაგიერ

ვფიქრობთ, ყურადსაღებია ქართველი ოფთალმოლოგების გულისტკივილი. მით უმეტეს, რომ მათ აქვთ გარკვეული, გამოკვეთილი პოზიციაც: „რატომ გადაწყვიტა აჭარის ხელისუფლებამ მოლაპარაკება ქართველი ოფთალმოლოგი სპეციალისტების გარეშე... განა ასე უმნიშვნელოა ქართველი ექიმების სამამულო თუ საერთაშორისო პრესტიჟი?.."

იქნებ დავფიქრდეთ მანამ, სანამ „სრულიად საქართველოს მოქალაქეებს" უცხო ქალაქში გავამგზავრებთ საოპერაციოდ, სანამ თურქსა და რუს სტუმრებს საფუძვლიანად დავამკვიდრებთ აჭარის ტერიტორიაზე...

გვჭირდება კი დღესდღეობით კიდევ ერთი ოფთალმოლოგიური კლინიკა, როცა თბილისის თვალის რესპუბლიკურ-კლინიკური საავადმყოფო თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და პროფესიული დონით გამორჩეულია.

თუკი ვალუტა უნდა დაიხარჯოს, იქნებ სჯობდეს ტრავმატოლოგიურ ცენტრს, პედიატრიის ინსტიტუტის ბაზებს, ზოგადქირურგიულ და თერაპიულ კლინიკებს მივხედოთ...

დღეს, როცა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, ვის აძლევს ხელს ეს წამოწყება?

ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

**მარინე დონაძე**

**P. S. — გაზეთი დასაბეჭდად იყო მზად, როცა თვალის რესპუბლიკური საავადმყოფოდან შეგვატყობინეს, რომ 4 სექტემბერს, თვალის ოპერაცია (ახლომხედველობა) გაუკეთდა სტამბულის მკვიდრს, მევლუდ ირემაძეს.**

**ამ კლინიკაში მკურნალობდნენ და ოპერაცია ჩაუტარდათ საზღვარგარეთის ქვეყნების 32 მოქალაქეს.**

## იმერეთის მეფე სოლომონ II-ის და ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) ნეშტის საქართველოში გადმოსვენებისათვის, საორგანიზაციო კომისიის დამფუძნებელი კრების მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის

# განცხადება

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის III დიდ დარბაზზე 1990 წლის 6 აგვისტოს მიღებულ რეზოლუციას — „ბაგრატიონთა დინასტიის თვალსაჩინო წარმომადგენლების, საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლების იმერეთის მეფის სოლომონ II-ის და ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) ნეშტის საქართველოში გადმოსვენების კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით", საქართველოს საზოგადოებრიობა გაეცნო გაზეთ „თბილისის" (1990 წლის 11 აგვისტო) მეშვეობით.

აღნიშნულმა რეზოლუციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შორის. მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თავისი პირველი სხდომა ა. წ. 23 აგვისტოს ჩაატარა. სხდომაზე ამოსავლად მიღებულ იქნა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის და ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების საორგანიზაციო კომისიის მუშაობის დროებითი დებულება.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელთაც დაევალათ: საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში შესაყვანი კანდიდატურების შერჩევა; ამ კომისიის რეგისტრაციაში გასატარებელი და ჩამოსასვენებელი ფონდის შესაქმნელი — დოკუმენტაციის დამუშავება და საქართველოს ხელისუფლებისათვის წარდგენა და სხვ.

საინიციატივო ჯგუფის მეორე სხდომა ჩატარდა ა. წ. 30 აგვისტოს; სხდომაზე ცნობად იყო მიღებული, რომ საორგანიზაციო კომისიის რეგისტრაციაში გასატარებელი და ჩამოსასვენებელი ფონდის შესაქმნელი მასალები საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილია.

სამუშაო ჯგუფის მიერ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა სოლომონ II-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებისათვის საორგანიზაციო კომისიის შემდეგი შემადგენლობა: ქალბატონები და ბატონები: ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, თემურ ყორყოლიანი, ნოდარ ნათაძე, აკაკი ბაქრაძე, ირაკლი ბათიაშვილი, ჯაბა იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, არჩილ გოგელია, აპოლონ სილაგაძე, კოტე ჩოლოყაშვილი, მერაბ ბალარჯიშვილი, ირაკლი შენგელაია, ნატო ციციშვილი, ელდარ შენგელაია, როსტომ დოლიძე, მამული ქლენტი, დავით კოპალეიშვილი, ზურაბ მახაშვილი, მამუკა გიორგაძე, ზურაბ ქვანია, ნონა გაფრინდაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ჯეიდარ ფალავანდიშვილი, ირინა სარიშვილი, მერაბ ალექსიძე, გურამ გოგბაიძე, რუსლან მიქაბერიძე, დათო ანდღულაძე, ცაცო ყორყოლიანი, ზაზა სიხარულიძე, თორნიკე ფიფია, ზაზა ებრალიძე, ცოტნე ნაკაშიძე, ევგენი ქავთარაძე, ანზორ ფეიქრიშვილი, რესან კონცელიძე, თემურ სუმბათაშვილი, იასონ ფავლენიშვილი, ჯოჩა აბზიანიძე, ვახტანგ გოგუაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, თენგიზ შარმანაშვილი, თემურ ბაბლუანი, ალიკო ჯუგუნავა, ზაურ ღვინიაშვილი, ნაირა გელაშვილი, მერაბ ჯიბუტი, თამაზ აფხაიძე, ირინა ტალიაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ვაჟა მანჯოშვილი, ვახტანგ ჯორჯიკია, გურამ შარაძე, ლევან სანიკიძე, თამაზ კვანჭილაშვილი, პეტრე გიორგაძე, ოთარ ჭილაძე, არჩილ ჩხეიძე, ჯია გაბრიჩიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, შოთა ლეჟავა, ია მუხრანელი, ნუგზარ წერეთელი, ამირან გომართელი, ნოდარ მირზიაშვილი.

სხდომაზე გადაწყდა დასახელებულ კანდიდატებს (წინასწარი შეთანხმებით) წერილობით ეცნობოთ კომისიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ და ეთხოვოთ (თანხმობის შემთხვევაში) დამფუძნებელი კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება. სხდომაზე აგრეთვე გადაწყდა, რომ 1990 წლის 12 სექტემბერს დღის 15 საათზე, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის შტაბ-ბინის სხდომათა დარბაზში შესდგება სოლომონ II-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენების საორგანიზაციო კომისიის დამფუძნებელი კრება.

**დღის წესრიგშია:**

1. საორგანიზაციო კომისიის მუშაობის დროებითი დებულების განხილვა და მიღება;
2. საორგანიზაციო კომისიის საკოორდინაციო საბჭოს არჩევა;
3. სამუშაო ჯგუფების და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა;
4. საქართველოს საზოგადოებრიობისადმი მიმართვის ტექსტების მიღება;
5. სხვა საკითხები.

## საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. გუმბარიძეს

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას

## საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ი. მენაღარიშვილს

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორია მხოლოდ ფიქტიურად იყო მისი კანონიერი მფლობელის, ქართველი ერის, ქართული მიწის ხელყოფა, აღვირახსნილი რუსიფიკატორული პოლიტიკა ქართველი ხალხის სამწუხარო ყოველდღიურობად იქცა. ვერც „პერესტროიკამ", „საჯაროობამ" და მისთანებმა მოგვიტანეს ამ მხრივ სრული შვება და სიხარული.

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხს, რომელიც თავისი კურიოზულობით და მავანთა თვითნებობით, ვერ ვიტყვით რომ უპრეცენდენტო, მაგრამ გამორჩეულია.

დღევანდელ საქართველოში ოფთალმოლოგიური სამსახურის დონე საკმაოდ მაღალია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ ოფთალმოლოგიურ სკოლაში ყველაფერი რიგზეა, რაც თავისთავად შეუძლებელია არსებული ჯანდაცვის სისტემის პირობებში. პრობლემები ბევრია, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ქართველ ოფთალმოლოგებს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ, გააჩნიათ პოტენციალური უნარი ამ პრობლემების მოგვარებისა.

ძალზე ძნელია იმის დაჯერება, რომ აკადემიკოს ს. ფიოდოროვს ქართული ოფთალმოლოგიის ბედი აწუხებდა, როდესაც თვენახევრის წინ საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრსა და საქართველოს მთავარ ოფთალმოლოგთან შეუთანხმებლად, ქართველი კოლეგების აზრის სრული იგნორირებით, აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში გახსნა ოფთალმოლოგიური სადიაგნოსტიკო ცენტრი ყველაფერი კონფედენციალურად გადაწყდა: დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის — „თვალის მიკროქირურგია" — (დირექტორი ს. ფიოდოროვი) კრასნოდარის ფილიალმა, თურქეთის ფირმა „სოიაკმა" და აჭარის კოოპკავშირის გამგეობამ (?!) ხელშეკრულება გააფორმეს 1993 წლის პირველ იანვრამდე. საქართველოს მხრიდან ეს პასუხისმგებლობა „ვაჟკაცურად" იტვირთეს აჭარკოოპკავშირის თავმჯდომარემ თამაზ თურმანიძემ და ხელვაჩაურის სადიაგნოსტიკო ცენტრის მთავარმა ექიმმა, სპეციალობით გინეკოლოგმა(!) დავით ვერძაძემ.

ხელშეკრულება ძირითადად შემდეგ საკითხებს ითვალისწინებს:
1. თურქეთიდან და ნაწილობრივ სსრკ-დან პაციენტების მიღებას, დიაგნოსტიკას და საოპერაციოდ კრასნოდარის ფილიალში მათ გადაგზავნას. მომსახურება, ცხადია, ფასიანია და საკმაოდ ძვირი. 2. მედპერსონალი (ექიმები), ექთნები), ძირითადად, დაკომპლექტებულია კრასნოდარელებით.
3. შემოსავლის (იგულისხმება ვალუტა და საბჭოთა ფული) 60%-ს იღებს კრასნოდარის ფილიალი, 20%-ს თურქული ფირმა, 10-10%-ს ინაწილებს აჭარის კოოპკავშირი და ხელვაჩაურის სადიაგნოსტიკო ცენტრი.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. მაგრამ იმედი გვრჩება, რომ ჩვენს კრასნოდარელ სტუმრებს აჭარის წარმტაცი სანახები მოეწონებათ, ხელგაშლილი მასპინძლები მორიგ ცთუნებას ვერ გაუძლებენ და სტუმრად მოსულნი მალე პრეტენზიულ მასპინძლად გვექცევიან. ამის რეალური პერსპექტივა ჩასახულია და როგორც გაზეთ „საბჭოთა აჭარის" 1990 წლის 10 ივლისის ნომერში კორესპონდენტი შ. გორგილაძე აღტაცებით იუწყება, წელს ბათუმში დაიწყება 17-სართულიანი, 576-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა, რომელშიც კლინიკის გახსნაცაა გათვალისწინებული. ესეც ხელშეკრულებითაა განმტკიცებული.

შეიძლება ვინმეს გაუგებრად მოეჩვენოს ჩვენი პროტესტი ახალი სამკურნალო დაწესებულების გახსნის მიმართ, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის (და საერთოდ სსრკ-ს) ჯანდაცვის არასახარბიელო მდგომარეობას. საქმე იმაშია, სჭირდება კი საქართველოს საკავშირო დაქვემდებარების კიდევ ერთი დაწესებულება, რომელიც არც პროფესიული კომპეტენციით, არც განსაკუთრებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და არც ფინანსური მხრით რესპუბლიკისათვის არავითარ შენაძენს არ წარმოადგენს. მისი უარყოფითი მხარის დანახვა კი რთული არ არის. არ შეიძლება ერის ინტერესები ორიოდე კაცის, ისიც არაკომპეტენტურის, გადაწყვეტილებით განისაზღვროს.

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება მოხარული იქნება ურთიერთმომგებიანი საქმიანი კონტაქტების დამყარებისა ნებისმიერ უცხო ქვეყნის სამედიცინო ორგანიზაციებთან, მაგრამ ეს კონტაქტები უნდა დამყარდეს ორივე მხარის სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით და უშუალოდ სამედიცინო საზოგადოებების, ასოციაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ვაცხადებთ რა პროტესტს არსებული თვითნებობის მიმართ, მთელი კატეგორიულობით მოვითხოვთ:

1. საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ნებისმიერი (მათ შორის სამედიცინო) ერთობლივი საწარმო უნდა იმყოფებოდეს შესაბამისი პროფილის საზოგადოებრივი კომისიის (გაერთიანების, ასოციაციის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მათი საქმიანობა რეალურად ემსახურებოდეს საქართველოს ინტერესებს და არა ცალკეულ პირებს. აღნიშნულ კომისიებს (გაერთიანებებს, ასოციაციებს) ეცნობოთ მომავალი კონტაქტებისა და სამუშაოს მოცულობა და შინაარსი. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე პირებმა მკაცრად აგონ პასუხი ერის წინაშე.

2. დაუყოვნებლივ შეწყდეს აკადემიკოს ს. ფიოდოროვის და მისი თანამშრომლების უკანონო და რესპუბლიკის ინტერესებისათვის შეუთავსებელი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე. დაუყოვნებლივ დაიხუროს კრასნოდარის, თურქეთის და აჭარის კოოპკავშირის ერთობლივი ფილიალი ხელვაჩაურში, რომელიც გახსნილია საქართველოს შესაბამის კომპეტენტურ სამსახურთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.

3. ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვემორე ხელისმომწერები მიმართავენ უკიდურეს საპროტესტო აქციებს. პასუხისმგებლობა ამ აქციების შედეგების გამო დაეკისრებათ ამ წერილის ადრესატებს.

**ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტიის სახელით**
**ი. წერეთელი**

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით**
**გ. ჭანტურია**

**მონარქისტული პარტიის სახელით**
**თ. ყორყოლიანი,**

**ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის სახელით**
**ი. კაკაბაძე**

**დემოკრატიული პარტიის სახელით**
**თ. შარმანაშვილი**

**საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის სახელით**
**ზ. ბოზბაიძე**

**საქართველოს ოფთალმოლოგთა საზოგადოება**
**საქართველოს ექიმთა ასოციაციის სახელით პრეზიდენტი**
**გ. ლაშქარიანი**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები**
**ლ. ბეზარაშვილი**
**რ. შენგელია**

# მამულიშვილთა საყურადღებოდ!

ისტორიული მესხეთის ქ. ახალციხეში გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. ამ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მრავალმხრივი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელია...

უნივერსიტეტის ახალშობილ ფილიალში რომ პროფესიონალი სპეციალისტები აღიზარდონ, აუცილებელია მდიდარი ბიბლიოთეკა.

მოგმართავთ ყველას, ქართველი ერის შვილებს, საქართველოს კეთილმოსურნე არაქართველებს — წიგნების, გამოკვლევების ავტორებს, რედაქტორებს, მკითხველებს, ვისაც ჩვენი ერის მომავალი ედარდება: **ახალციხის ფილიალს ერთი ისეთი წიგნი მაინც გამოუგზავნეთ** (დაზღვევით), **რომელსაც მიუძღვნიდით თქვენს საყვარელ ადამიანს** (მხატვრული, ენათმეცნიერული, კრიტიკული, ისტორიული, ეკონომიკური, მათემატიკური... ლიტერატურა); წიგნთან ერთად გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შეტყობინება — ამით გვექნება წიგნის არდაკარგვის გარანტია, თანაც შევადგენთ შეტყობინებათა კატალოგს, რომ მომავალ თაობებს შევუნახოთ ამ უჩვეულო თხოვნის შესრულების ამსახველი მასალა...

ჩვენი მისამართია: **ახალციხე, რუსთაველის 90.**

თუკი უდროობის ან სხვა მიზეზთა გამო არ გიხერხდებათ ახალციხეში წიგნის გამოგზავნა, თბილისშიც შეგიძლიათ წიგნის გადმოცემა; კერძოდ **ჭავჭავაძის 1, თსუ, ქართული ენის კათედრა** (მერაბ ბერიძე) ან **ძერჟინსკის 8, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი** (ტარიელ ფუტკარაძე).

**თქვენს კეთილმოსურნეობას სამუდამოდ შეინახავს ახალციხის უნივერსიტეტის კატალოგები.**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

●

ავიაციის ეროვნული კადრების შესახებ მინდა გიამბოთ.

ცნობილია, რომ ჩვენთან ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა. დღეისათვის საქართველოს მფრინავთა შორის ეროვნული კადრი მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს, ხოლო საავიაციო-ტექნიკურ შემადგენლობაში 10 პროცენტს. ორივეგან ნახევარზე მეტი ასაკოვანია.

**ცოტა რამ ისტორიიდან:** გავიხსენოთ პირველი ქართველი მფრინავი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის პირველაღმომჩენი ბესარიონ ქებურია. რაც შეეხება დიდ სამამულო ომს, ეროვნული კადრების მოსამზადებლად 1941 წელს თბილისში შეიქმნა სამხედრო-საჰაერო კადრების მოსამზადებელი სპეციალური სკოლა. ამ სკოლაში ბევრი სახელოვანი მფრინავი აღიზარდა.

სამწუხაროდ, აღნიშნული სკოლა 1954 წელს დაიხურა. ამით შეწყდა ავიაციაში ეროვნული კადრების მომზადება. ხოლო დღეისათვის მივედით კადრების კრიტიკულ დეფიციტამდე...

ერთი სიტყვით, საგანგაშო ვითარებაა. ამიტომ დროა გამოვაცხადოთ: **„ქართულ ავიაციას — ეროვნული კადრები!“**

საგულისხმოა, მათ მომზადებას ბევრი დრო, სახსრები და კვალიფიციური სპეციალისტი დასჭირდება. დიახ, არც ერთი პროფესიონალი კადრის მომზადება ისე ძვირი არ ჯდება, როგორც ადამიანის მიყვანა პირველი კლასის პილოტის დონემდე. ამას სჭირდება ერთი მილიონი მანეთი თანხა და 15 წელი.

საავიაციო ეროვნული კადრების დაწყებით მოსამზადებელ სწავლებას ხელმძღვანელობს საქართველოს „დოსაამფი“. აქვე მოქმედებს ავიაციის განყოფილება, სადაც ახალგაზრდობას შეუძლია აითვისოს სხვადასხვა სპეციალობა (თვითმფრინავის, ვერტმფრენის, დელტაპლანის მართვა, პარაშუტით ხტომა და სხვა).

საქართველოს „დოსაამფ“-ის ცენტრალური კომიტეტისა და სამოქალაქო ავიაციის თაოსნობით იქმნება მფრინავთა მოსამზადებელი ახალი ცენტრები. მაგალითად, ახმეტის რაიონში შეიქმნა ახალი აეროკლუბი. კარგა ხანია ელოდება ახალგაზრდობას თბილისის აეროკლუბი. მალე ასეთივე კლუბები გაიხსნება ქუთაისში, აჭარაში, აფხაზეთში, ოსეთში...

გარდა ამისა, ვფიქრობთ, ავიაციის ტექნიკური კადრების მოსამზადებლად პროფილი უნდა შეეცვალოს ზოგიერთ პროფტექნიკურ სასწავლებელს თუ ტექნიკუმს.

უნდა ითქვას, ამ იდეას მოწონებით შეხვდნენ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის და ახმეტის № 130 პროფტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელები. ერთი სიტყვით, შორს არ არის ის დღე, როცა ქართველი მფრინავები დაიწყებენ დამოუკიდებელ ფრენას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ამჟამად, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს დამოუკიდებელი ავიაკომპანიის სახით გამოყოფის შესახებ.

იხსნება ახალი საერთაშორისო ავიახაზები. დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის ავიაკომპანიასთან — „დელტა“ ახალი ავიარეისის — თბილისი — ატლანტა გახსნასთან დაკავშირებით. აგრეთვე — თურქეთთან და სხვ.

ამავე დროს საჭიროა ბევრი ვერტმფრინავი საქართველოს მთიანეთისათვის. სადაც ვერტმფრენი შეუცვლელი ტრანსპორტია.

მაშ, ახალგაზრდებო, ახლა თქვენი ჯერია. იმედია, სიტყვით და საქმით მხარში ამოუდგებით საქართველოს დამოუკიდებელი ავიაკომპანიის მსურველთ. დაეუფლებით მფრინავის ვაჟკაცურ პროფესიას, ყველაფერს იღონებთ საქართველოს შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის.

**რევაზ სანიშვილი,**

**პირველი კლასის მფრინავი, ავიაციის ინჟინერ-მექანიკოსი, ცკ „დოსაამფის“ ავიაციის განყოფილების უფროსი.**

●

ახმეტის რაიონში ვინც ყოფილა, შეიძლება ყურადღება არ მიაქცია (თუმცა რას მიაქცევდა, — არც მანიშნებელი დგას და არც ადგილი ეტყობა რამე), პატარა გორას, რომელსაც ქართველი ხალხი „ბახტრიონს“ უწოდებს. აქ 1659 წელს მოხდა ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლები სპარს დამპყრობლებთან. ბახტრიონის ბრძოლები ისტორიაში ცნობილია კახეთის აჯანყების სახელით. სწორედ ამ აჯანყებიდან არიან ცნობილი სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი და სხვანი.

კახეთის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, რადგანაც ამ ბრძოლებით წყდებოდა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, კახეთის აჯანყებაში, კერძოდ კი 1659 წლის ბახტრიონის ბრძოლების დროს, ქართველი ხალხი რომ დამარცხებულიყო, მაშინ რამდენიმე საუკუნე დაგვჭირდებოდა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს დახსნისათვის.

1959 წელს, კახეთის აჯანყებიდან 300 წლის თავზე, ბახტრიონის გორაზე აღმართეს ობელისკი გმირთა უკვდავსაყოფად, რომელმაც მცირედით მაინც დაამშვენა ბახტრიონი. მაგრამ დაანგრიეს და დაანგრიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაც-ვილაცეების „იდეებს“ წინ ეღობებოდა.

არსებული ობელისკის დანგრევის შემდეგ იმავე ადგილზე წამოიწყეს გრანდიოზული კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც შედის რამდენიმე სვეტი, რომლებზეც აღიმართება ბახტრიონის ბრძოლების გმირების ფიგურები. გორის ზედა წერტილიდან გორის ძირამდე დაეშვება საფეხურები, აქვე იქნება რიტუალების სასახლე და ეს ყველაფერი უნდა აშენდეს ისტორიულ მიწაზე, წინაპართა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ ადგილას. თანაც აღნიშნული პროექტის განხორციელება ხდება ფართო სამსჯავროზე მისი გამოტანისა და განხილვის გარეშე.

ჩვენი აზრით, იმ ადგილს არავითარი გადაკეთება და „გალამაზება“ არ სჭირდება. საჭიროა მხოლოდ შემორჩენილი კედლების, კოშკების და ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია, ამას კი არავინ აკეთებს.

მიგვაჩნია, რომ უნდა აილონ ის ნაგებობანი, რომლის შენებაც დაიწყეს და თავი ვერ მოაბეს (აშენებულიც უკვე ინგრევა). გააუქმონ გორაკზე გაჭრილი გრუნტის გზა, რომელიც ისევე უღმერთოდ ამახინჯებს იქაურობას, როგორც სხვა დანარჩენი ახალშენებლობანი.

**ქეთევან შავხელიშვილი,**
**ლევან მიქელაძე.**

●

საქართველოს თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლის დღეებში მკაცრ დისონანსად, თითქმის ირონიად ჟღერს თბილისის ზოგიერთი ქუჩის სახელწოდება. მთაწმინდელები ასეთად მივიჩნევთ — ძერჟინსკისა და ობოლაძის ქუჩებს. ამის შესახებ ჩვენს მიერ უკვე ითქვა პრესაში, მაგრამ ამაოდ.

დღეს კიდევ და კიდევ გვინდა შევახსენოთ მათ, ვისაც მხოლოდ ხელეწიფებათ კი არა, ევალებათ კიდევაც ამ კეთილშობილური საქმის შესრულება, დაუყოვნებლივ შეუცვალონ ამ ქუჩებს სახელები, ძერჟინსკის ქუჩას დავანათლოთ — ვახტანგ კოტეტიშვილის სახელი, ხოლო ობოლაძისას — ოლღა გურამიშვილისა.

ნუთუ ამ ორმა ჭეშმარიტმა, ტრაგიკული ბედის ქართველმა, ვერა და ვერ დაიმსახურა ეს პატივი.

**მთაწმინდელების სახელით რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ჟურნალისტი ქეთევან ანანიაშვილი**

●

როდესაც პრესაში თუ ტელევიზიით მრავალშვილიან ოჯახებს გვაცნობენ, ალბათ ყველა ქართველს სიამაყის და სიხარულის გრძნობა გვეუფლება. უნებურად ვლოცავთ ყველა მრავალშვილიან ოჯახს და იმ ხალხს, ვინც მათი ბედით დაინტერესდა, გაჭირვება თუ ლხინი გაიზიარა, დემოგრაფიული საზოგადოების შექმნამ ბევრ ქართველ ქალს აფიქრებინა კიდევ ერთი შვილის გაჩენა...

ოჯახში რვა შვილი გვყავს, უფროსი 19 წლისაა (იხდის სამხედრო სამსახურს), უმცროსი ტყუპები კი 1989 წელს მოევლინენ ქვეყანას. მათთან ერთად 2 წლის დაობლებული მულისშვილის გაზრდაც დავიკისრეთ. ჩემი შვილები ჩემი სიმდიდრე და სიხარულია, მაგრამ ხშირად მევსება ცრემლებით თვალები, მათ გაჭირვებას რომ ვხედავ.

მეუღლე მძღოლად მუშაობს (130 მანეთ ხელფასზე) მე დიასახლისი ვარ. ჩვენი ორსართულიანი სახლის მხოლოდ ერთი ოთახია საცხოვრებლად ვარგისი. ამ ერთ ოთახში 11 სული ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია... ვის არ მივმართეთ დახმარებისათვის, სოფლის ხელმძღვანელობას, რაიონის პარტიის რაიკომს, მაგრამ ერთი პასუხით გამომისტუმრეს. კოლწევრი არა ხარ და ვერ დაგეხმარებითო. დიდი მადლობელი ვართ თელავის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის, რომელმაც 1000 მანეთი გამოგვიყო დახმარებისათვის. იმედი მრჩება, რომ ჩვენი ოჯახის გასაჭირს გაიზიარებთ და ჩვენისთანა ოჯახების დახმარებით, რწმენას განუმტკიცებთ ახლადშექმნილ ოჯახებსაც, მათ, ვინც მრავალშვილიან ოჯახზე ოცნებობს...

**ლილი ლოზჟანიძე,**

**თელავის რაიონის სოფელი რუისპირი.**

●

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ გამოაქვეყნა თქვენს გაზეთში „არჩევნებისა და არადანის გამო“. სადაც აღნიშნულია, რომ, საქართველოში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუპირისპირდება ერთმანეთს.

მთავარ ძალად ვარაუდობენ იმ 400 000 (ეს ციფრი, რა თქმა უნდა, დაახლოებითია) კომუნისტს ვინც დღეს სკკპ-შია საქართველოდან.

ეს საშიშროება ჩვენი ოჯახიდან რომ მოხსნილი იყოს, სადაც 3 წევრიდან ორი „კომუნისტი“ ვართ, გამოვედივართ სკკპ-დან, ამავე დროს ვაგრძელებთ საწევროს გადახდას იგივე %-ით მერაბ კოსტავას სახელობის ბანკში გადასარიცხად, თანხა წელიწადში საკმაოდ სოლიდურია, ჩვენში ერთ-ერთი გამომგონებელ-რაციონალიზატორია.

„ჩონგური საქართველოა... ერთი მათგანიც რომ გაწყდეს“.. მღერის საქართველო... ჩვენმა დაჩაგრულმა ერმა ჭერჯერობით ვერ უშველა გაწყვეტილ სიმებს, ჩვენი აზრით ამას კოსტავას სახელობის ბანკზე უკეთესად ვერავინ შეძლებს.

400 000-შიც და სხვა პარტიებშიც მრავალი ღირსეული მამულიშვილია, მაგრამ აღარასოდეს არცერთი პარტიის დიქტატი აღარ უნდა იყოს საქართველოში, მთავარია აწყობილი ჩონგური გვქონდეს.

კოსტავას სახელობის ბანკის მესვეურთაგან გაგვიგონია: ყველა ქართველმა თვეში მცირე თანხაც რომ გადმორიცხოს ბანკისთვის, დიდ რამეს ნიშნავსო.

ვთხოვთ ბანკის ხელმძღვანელობას, კიდევ ერთხელ გამოაქვეყნოს, როგორ უნდა მოხდეს ეს.

მრავალი ახლობელისაგან ვიცით — იმდენი არა მაქვს, დიდი თანხა რომ შევიტანო კოსტავას სახელობის ფონდში, მაგრამ ყოველ თვეში რომ შეიძლებოდეს გაუწვალებლად გადავრიცხო 5-10 მანეთი, დიდი სიამოვნებით გადავრიცხავდიო, ისე რომ, პარტიიდან გაუსვლელადაც ბევრი გადარიცხავს რაღაც თანხას.

ამ საქმეში რაც მეტი მიმდევარი გამოგვიჩნდება, მით უმეტეს იმ ორგანიზაციებიდან, ვინც დეპოლიტიზაციას აპირებს, მით უფრო მოიგებს საქართველო და მრავალპარტიული არჩევნები.

**მანანა დეკანოსიძე,**
**პედაგოგი;**

**მურთაზ დეკანოსიძე,**
**ინჟინერ-მშენებელი.**
**ქ. რუსთავი**

**ჰონორარი სად უნდა გადაირიცხოს, გახაგებია.**

●

ჩვენ, სენაკის რაიონის მკვიდრნი, მონადირეთა კავშირის წევრები, 500-600 კაცამდე, რომელთაც გასულ წელს, აფხაზეთში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, მილიციის მუშაკებმა თავის დაზღვევის მიზნით, თოფები ჩამოგვართვეს, მათ კი თავს დაესხნენ და წაართვეს ჩვენი იარაღი, აღშფოთებული ვართ ჩვენდამი უსულგულო დამოკიდებულებით. მარტო ჩვენ გვიცხადებენ უნდობლობას, არ გვაძლევენ ახალი თოფების შეძენის უფლებას, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენის დაბრუნებაზე, ხოლო ქუთაისს, ბათუმს, აფხაზეთს და სხვა რეგიონებს შეუფერხებლად შეუძლიათ შეიძინონ და ინადირონ კიდევაც.

ჩვენს შორის არც ერთი არ არის ხულიგანი, არასერიოზული ან ისეთი, ნდობას რომ არ იმსახურებდეს. სწორედ ჩვენ ვიჩაგრებით, რადგან პირველი მოთხოვნისთანავე ჩავაბარეთ თოფები.

ჩვენ კატეგორიულად არ მოვითხოვთ ჩვენი თოფების დაბრუნებას, როცა მოძებნიან, მაშინ დაგვიბრუნონ. მაგრამ მოგვეცით ახლის შეძენის საშუალება და ნუ მოგვთხოვთ მისი შეძენის ნებართვის აღებას თბილისში. ჩვენს რაიონში თბილისზე უკეთ იციან ჩვენზე ინდობა თოფი თუ არა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენს შორის ზოგი ისეთია, რომლისთვისაც თბილისში ჩასვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩვენი თხოვნა სანაგვე ყუთში არ გადააგდოთ, არამედ დაგვეხმაროთ.

**სენაკის რაიონის მონადირეთა კავშირის წევრები.**

**სულ 84 ხელმოწერა**

●

დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ პოლიტიკა მორალზე რთულია, რომ იგი ძნელი და მძიმე თამაშია, მასში ერთად რამდენიმე გუნდი მონაწილეობს. გარდა ამისა, რომ არსებობს ამ თამაშის საყოველთაოდ აღიარებული „წესები“, თითოეულ მოთამაშე გუნდს მის ცალკეულ წევრსაც კი თავისი ხელწერა აქვს. შესაძლოა ბევრი რამ მიუღებელი იყოს ან არ მოგვწონდეს, მაგრამ სხვა გზა არაა, იძულებული ვართ ამ „წესების“ დაცვით ჩავებათ თამაშში. მით უმეტეს, როცა დამწყებნი ვართ.

რუსეთის იმპერიასთან ჭიდილში ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ ბევრი რამ ისწავლა, საამისოდ 1988 წლის ნოემბრის აქცია, ან ეროვნული პარტიების მიერ შექმნილი მსოფლიო სტანდარტის კანონები რად ღირს, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამის ცოდნა და გაკეთებაა საჭირო, მხოლოდ ეთნოკონფლიქტების პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდით შორს ვერ წავალთ. კუთხური პარტიკულარიზმიდან დიდ პოლიტიკაზე უნდა გადავიდეთ (ზ. გამსახურდია), უნდა შეგვეძლოს, როგორც „ახლო“ ისე „შორსქმედება“ (მანძილზე მყოფი სამიზნეების უშუალო დაზიანება). დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკისათვის გაცვდა ცნობილი გამოთქმა — „მე მასთან ერთად დაზვერვაზე არ წავალ“, ანუ არსებითი მნიშვნელობა დაკარგა უშუალოდ გვერდზე მდგომმა. სწორი პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის წყალობით ზესახელმწიფოთა გვერდით დღესაც არსებობენ პატარა ჰუმანური, ნეიტრალური ქვეყნები (სსრკ — ფინეთი, და სხვა).

ვფიქრობ, ეროვნული მოძრაობა (ქართული პოლიტიკა) იმდენად დაიკავებს მარჯვენა პოზიციას, რამდენადაც შეძლებს თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების სტანდარტებით აზროვნებას და მოქმედებას (არ ვგულისხმობ დოგმებსა და კლიშეებს), ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა (მოქმედება) ბუნების ერთ-ერთი ყველაზე რთული მოძრაობაა, მას თავისი კანონები აქვს. საქართველო დღეს თუ არა, ხვალ დამოუკიდებლად ჩაებმება ამ მოძრაობაში და, გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის თანამედროვე პოლიტიკური კანონებისა და მიმართულებების ცოდნა, შესაძლო პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირება და რეაგირება. ყოველივე ეს ინფორმაციული შიმშილის დღევანდელ პირობებში არ მიიღწევა. აუცილებელია მაქსიმალური ინფორმაცია არა მარტო ბალტიისპირეთიდან და შუა აზიიდან, არამედ მსოფლიოს სხვა გეოპოლიტიკური რეგიონებიდანაც.

ვფიქრობ, უნდა შეიქმნას ე. წ. ინფორმაციის კომიტეტი, რომელიც გამოიწერს და მიიღებს სხვადასხვა ქვეყნიდან პოლიტიკურ (და არა მარტო პოლიტიკურ) ჟურნალ-გაზეთებს, თარგმნის მოწინავე სტატიებსა და ნარკვევებს ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული, თურქული სპარსული არაბული და სხვა ენებიდან. გადაამუშავებს და გაანალიზებს მიღებულ ინფორმაციებს და გამოაქვეყნებს მათ სპეციალურ ჟურნალში, ჩამოაყალიბებს და გაზრდის „ახალი ტიპის“ პოლიტიკოსებს, ისე რომ სჭირდება დღეს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას (ნ. ნათაძე), ჩამოაყალიბებს ახალ, „ოცდამეერთე საუკუნის“ პოლიტიკურ პარტიებს, ისე რომ სჭირდება ქართულ ეროვნულ პოლიტიკას (ა. ბაქრაძე), მოიწვევს და თავადაც მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო მასშტაბის ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებში, საფუძველს ჩაუყრის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტს (შეწყდება ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების „МИМО“-ში მიგრაცია) და სხვა.

ინფორმაციის კომიტეტის შესაქმნელად მხოლოდ ენების მცოდნე ადამიანთა ენთუზიაზმი არ კმარა, საჭიროა ღრმად ერუდირებული, საქმის ერთგული ადამიანების ერთობლივი ძალისხმევა, თორემ დილეტანტის ენთუზიაზმი დაილევა და მივიღებთ კიდევ ერთ პოლიტიკურ „პარტიას“ რიგითი ნომრით (საზოგადოება კი ამჯერადაც სტატისტიკის როლში აღმოჩნდება) და გაცხადდება ის ფაქტი, რომ პარტიათა რაოდენობა მათ თვისობრიობაში არ გადადის.

არა მგონია ამ აზრის პიონერი ვიყო, მაგრამ იქნებ ვიფიქროთ მაინც.

წინადადება შემომაქვს ა. წ. დეკემბრის ბოლოს მოვიწვიოთ (თუნდაც) შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონფერენცია თემაზე: „ერების თავისუფლება და თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პოლიტიკა“.

**ანდრო ტოროტაძე**

**მინაწერი: მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი იბრძვის ეროვნული და დემოკრატიული პარლამენტის ასარჩევად, საზოგადოება „სტალინის“ არჩევნებში მონაწილეობა მიმაჩნია ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტად, დემოკრატიის იდეისა და ქართველი ერის დისკრედიტაციად მსოფლიოს ხალხების თვალში, რის გამოც ვაცხადებ პროტესტს.**

●

გვინდა გაცნობოთ მესტიის რაიონის სოფელ იდლიანისა და აქ მცხოვრები ხალხის გასაჭირი. ჩვენი სოფელი საკმაოდ მოზრდილია, 120 კომლამდე, მაგრამ სოფელში არ არსებობს არავითარი საშუალება იმისა, რომ ნაშრომმა, დაღლილმა ხალხმა სადმე ერთად თავი მოიყაროს და რაიმე სანახაობითი გასართობები იხილოს. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა შეგვპირდა, რომ უახლოეს ხანში აგვიშენებდნენ კლუბს. ამ დაპირებების მერე უკვე 10 წელი გავიდა, მაგრამ ჩვენს სოფელში კლუბის ასაშენებლად კი არა, უბრალოდ მოსაკითხადაც არავინ მოსულა.

წელს ხალხის დაჟინებული თხოვნით რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, რომ გამოეხედა ჩვენსკენ. შემოგვთავაზეს სოფლიდან ხუთი კილომეტრით დაშორებულ ადგილას მდგარი, ყოფილი ხუდონჰესის შენობა, სადაც უნდა იაროს ხალხმა კინო-ფილმებისა და კონცერტების საყურებლად. ჩვენ, სოფლის მოსახლეობა კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ამისა. იმიტომ, რომ ის „კლუბი“ ჩვენთვის მიუწვდომელი იქნება და გართობისა, მოსვენებისა და სიამოვნების მაგივრად ჩვენ ამ სიშორეზე სიარულით ტანჯვისა და წამების მეტს ვერაფერს ვნახავთ.

ძვირფასო რედაქცია, თხოვნით მოგმართავთ თქვენ, რომ გაზეთის საშუალებით აცნობოთ ყველას ჩვენი გასაჭირი და არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ.

**სოფელ იდლიანის მცხოვრებნი.**
**26 ხელმოწერა.**

●

თქვენს გაზეთში წავიკითხე აგატა ფუნკეს წერილი („პატარა ქართველს მკურნალობენ მაინცში“).

ძალიან სასიხარულოა, რომ პატარა დათო ჩიქოვანი განიკურნება ტვინის თანდაყოლილი მანკისაგან. ღმერთმა გახაროს დათოს მშობლები შვილის ჯანმრთელობით. ახლა კი ჩვენს გასაჭირზეც მოგახსენებთ, იქნებ ჩვენც გვეშველოს რამე. ავადმყოფი შვილიშვილის ბებია გაწუხებთ. ჩემი შვილიშვილი, გოგონა, ექვსი თვისაა. მას „დაუნის“ დაავადება დაუდგინეს. ბავშვის მშობლები მემკვიდრეობით ჯანმრთელნი არიან.

მინდა გავიგო, შეიძლება თუ არა ამ დაავადების მკურნალობა მედეგიანად და სად შეიძლება, იქნებ ისევ მაინცის საუნივერსიტეტო კლინიკაში?!.

ძალიან გთხოვთ დამეხმაროთ, თქვენი წყალობით იქნებ რაიმე გზას დავადგეთ და ბავშვი გადავარჩინოთ.

**ვ. ჩაჩიძე,**
**თბილისი, ოსხელიანის ქ. № 87. ბინა № 2.**

●

აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები დიდად აღაშფოთა სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. მარქარიანცის სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. რიჟკოვისადმი გაგზავნილმა ოფიციალურმა წერილმა (№ 003-9137), რომელშიც მოითხოვდა საქართველოს ტერიტორიაზე მათთვის საჭირო ობიექტების მშენებლობას (იხ. „სოფლის ცხოვრება“, 29.06.90. ქ. იმედაშვილი — „ერის ინტერესებს არ შეესაბამება“).

შეუძლებელია ბატონმა ვ. მარქარიანცმა არ იცოდეს, რომ საქართველოს საზღვრებში სხვა სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესების განვრცობა და იძულებით თავს მოხვევა უხეშად ბღალავს ქართველი ერის ელემენტარულ უფლებას, გამოიყენოს საკუთარი ტერიტორია თავისი შეხედულებისამებრ და თავისი პრობლემების მოსაგვარებლად. ბატონ ვ. მარქარიანცს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ასეთი ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც პროვოკაცია ქართველ და სომეხ ხალხს შორის შუღლის გასაღვივებლად. არა გვგონია ბატონი ვ. მარქარიანცი მშვიდად შეხვედროდა საქართველოს მთავრობის მსგავს საქციელს.

წერილის შინაარსიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ლენინაკან-ბოგდანოვკის რკინიგზის გაყვანის შემდეგ გაცოცხლდეს ბოგდანოვკა-ბათუმის რკინიგზის გაყვანის იდეაც. ეს სრულიად არ იქნება გასაკვირი მას შემდეგ, რაც ქართლის შუაგულში, მუხრანის ველზე 157 ჰექტარი ფართობა, ჩვენდა სავალალოდ, სომხეთს უკავია. მოჰყავს ამ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ლენინაკანისათვის, აშენებს საღორეებს, დგამს ფინურ სახლებს, ვაგონებს, სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებს და თან დაუნდობლად ანადგურებს გარემო ბუნებას (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი“ 14.07.90 წ. ნ. მირიანაშვილის წერილი „თუ უკვე გვიან არ არის“).

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთმა განუკითხაობამ, ჩვენის მხრივ ყოვლის შემწყნარებლობამ, საზოგადოებისათვის სიმართლის დამალვამ და ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების სოლცარმა პასიურობამ, თუ გულგრილობამ, ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენელში შექმნას ილუზია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე მას ყველაფრის უფლება აქვთ; არაფერი რომ არ ვთქვათ მის ისტორიულ წარსულზე, მოვიგონოთ თუნდაც სულ ახლახან ჯავახეთში მომხდარი ამბები (გნებავთ ბოგდანოვკაში, ახალციხეში), პრეტენზიები ფოთსა და ბათუმზე, მათი მართლაც რომ ფანტასტიკური რუკები.

ჩვენი აზრით, დადგა დრო ყველას შევაგნებინოთ, რომ საქართველოს ტერიტორიას განაგებს თვით ქართველი ხალხი და არა სხვა ვინმე.

**ინსტიტუტის რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის სახელით**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**გურამ ხუციშვილი**

**ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**
**გიორგი გოგიჩაძე**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი**
**თამარ სოსელია**

**წერილს სულ ხელს აწერს 162 თანამშრომელი.**

●

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს**

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის (ღვთის შვილთა კავშირი) პრეზიდენტს ზ. სიხარულიძეს**

**საქართველოს ბავშვთა ფონდის თავმჯდომარეს ხ. ბერულავას**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. გუმბარიძეს**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას**

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ი. მენაღარიშვილს**

**თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს პ. თორდიას**

**რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ გენერალურ დირექტორს გ. კერვალიშვილს**

**რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დირექტორს ბ. ქაშაკაშვილს**

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს ა. ბაქრაძეს**

**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ნ. ნათაძეს**

**საქართველოს ჰელსინკის კავშირს ზ. გამსახურდიას**

**საქტელერადიოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ა. გოგელიას**

**გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს მ. უზრეხელიძეს**

**გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს ნ. მგელაძეს**

**გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორს მ. ბალარჯიშვილს**

მოგმართავთ თხოვნით გორში მცხოვრები შვიდი წლის ინვალიდის პატარა ქეთევანის მშობლები, (ქეთევან ვახტანგის ასული ლაბაძე, დაბადებული 1983 წლის 17 ივლისს), რათა დაგვეხმაროთ ჩვენი გოგონას გამოჯანმრთელებაში, გადარჩენაში.

ბავშვს სამი წლის ასაკიდან დაეწყო დაავადება. ჯერ ქვედა კიდურებში დაკარგა ძალა, შემდეგ კი ზედა კიდურებში. მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, დაავადება წინ მიიწევს, მისი შეჩერება კი კავშირის მასშტაბით ვერ შეძლეს. ოთხი წლის განმავლობაში ბავშვი იმყოფება ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. გამოკვლეულია, როგორც თბილისის, ისე მოსკოვის პედიატრიის ინსტიტუტებში. ვსმული ჰქონდა დიაგნოზები: „სპასტიური პარაპარეზი, ბავშვთა ცერებრალური პარეზები“, ეჭვობდნენ „კუნთთა პროგრესირებულ დისტროფიაზე“.

მიუხედავად მკურნალობისა, ბავშვის მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც დიაგნოზი დაუსვეს ზუსტად და რა თქმა უნდა, მკურნალობაც უშედეგოდ წარიმართა.

ბავშვი გამოკვლეულია მოსკოვის ნერვოლოგიურ კლინიკაში, საკავშირო პედიატრიის ინსტიტუტში, გენეტიკურ ინსტიტუტში, მოროზოვის სახელობის საავადმყოფოში. ამჟამად აქვს დასმული შემდეგი დიაგნოზი დაუსვეს ზუსტად და რა ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარება შეესაბამება მის ასაკს, აქვს კარგი ათვისების უნარი, იცის ბევრი ლექსები, პატარა მოთხრობები, აზროვნებს კარგად.

ბავშვის გამოჯანმრთელებისათვის აუცილებელია რაც შეიძლება მალე მოვათავსოთ დედასთან ერთად რომელიმე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის (აშშ, გფრ, ჩსს) წამყვან კლინიკებში, ამომწურავი დიაგნოსტირებისა და მკურნალობისათვის.

იმედი გვაქვს, რომ სრულიად საქართველოს, მის სულიერ და საერო მესვეურთა გულმოწყალება, ქველმოქმედება, ერთობლივი მოწადინება და ძალისხმევა საქართველოს კიდევ ერთ სრულფასოვან შვილს დაუბრუნებს (ადრესატების სიმრავლეც ამ იმედზეა დამყარებული).

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბავშვის მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება. მისი ჯანმრთელობისათვის, გადარჩენისთვის ყოველი დღე ძვირფასია.

მოუთმენლად ველით თქვენს პასუხს, თქვენს გადაწყვეტილებას, პატივისცემით და დიდი იმედით სასოწარკვეთილებაში მყოფი პატარა ქეთევანის მშობლები:

**მანანა მღებრიშვილი,**
**ვახტანგ ლაბაძე.**

**ჩვენი მისამართია: ქალაქი გორი. 383500, ცხინვალის გზატკეცილი № 43-14.**

წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარკოტიკების გზა საქართველოზე გადის

## ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან

27 აგვისტოს დუშეთის რაიონის მილიციისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა „მლეთის“ საგუშაგოზე დააკავეს აზერბაიჯანის სსრ ქ. განჯის მცხოვრები 1968 წელს დაბადებული, უმუშევარი, რომელსაც 840 გრამი „კოკნარი“ აღმოაჩნდა. იმავე დღეს თელავში დააკავეს მარმარილოს კომბინატის მუშა, 1961 წელს დაბადებული აკაკი წითელაური, რომელსაც 550 გრამი ნარკოტიკული ნივთიერების დასამზადებელი ნედლეული უპოვეს.

9 და 20 აგვისტოს, სოხუმისა და სამტრედიის რკინიგზის სადგურების შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებების თანამშრომლებმა მოსკოვი-ერევნის მატარებლებში დააკავეს სომხეთის მკვიდრნი: ონიკ სამოიანი და ადრე ნასამართლევი სამველ მალხაზიანი. პირველს 6 კილოგრამამდე წონის „მარიხუანა“ და სხვა სახის ნარკოტიკები აღმოაჩნდა, ხოლო მეორეს — 630 გრამი „კოკნარი“ და დაახლოებით 9 გრამი ოპიუმი.

28 აგვისტოს თბილისის სამგორის რაიონის მილიციის მუშაკებმა აეროპორტის ტერიტორიაზე დააკავეს 1964 წელს დაბადებული ერევნელი არწრუნ არუთინიანი, რომელსაც 2 კგ-ზე მეტი ოპიუმის შემცველი ყაყაჩო და 18 მილიგრამი მზა ოპიუმი უპოვეს, ხოლო 30 აგვისტოს ქ. ბათუმში დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ურეხის მცხოვრები ადრე ნასამართლევი 1960 წელს დაბადებული იუსუფ სანაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 422 გრამი ყაყაჩოს თესლი.

როგორც მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, საქართველოში ნარკოტიკების შედარებით დიდი პარტიები ჩვენი რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები პირების მიერაა შემოტანილი. აქვე უნდა ითქვას, რომ მათი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ტრანზიტით იყო გამავალი (თუმცა დანაშაულს ეს ოდნავადაც არ ამსუბუქებს). ესეც ბედის ირონიაა — წინათ საქართველოზე „აბრეშუმის გზა“ გადიოდა, ახლა ამ გზით ნარკოტიკული ნივთიერებები მიაქვთ და მოაქვთ.

ნარკოტიკების გავრცელების, უკანონო შენახვისა და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლა. კვლავ წარმოადგენს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. გასულ თვეში სისხლის სამართლის სამძებროსა და მილიციის სხვა მუშაკების მიერ გამოვლენილი იქნა ამგვარი სახის სამართალდარღვევათა 36 შემთხვევა. მათგან თითქმის ერთი მესამედი ნარკოტიკების რეალიზაციასთან იყო დაკავშირებული, ხოლო დანარჩენი — აღნიშნული ნივთიერებების უკანონო შენახვასა და გამოყენებასთან.

გარდა ზემოთაღნიშნულისა აგვისტოს თვეში ჩატარებული გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად ნარკოტიკების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის დაჯარიმდა 2 ადამიანი, სამედიცინო გასინჯვა გაიარა 63 პირმა, რომელთაგანაც 7 ნარკოლოგიურ დისპანსერში იქნენ მოთავსებული.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრიობასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის განყოფილება.**

## კრიმინალური ქრონიკა

გორის რაიონში, სოფელ ზელთუბანში, დაუდგენელი ხომრის ავტომანქანის მძღოლი დაეჯახა ამავე სოფელში მცხოვრებ პენსიონერ ა. პ.-შვილს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

●

მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპოვნია მამრობითი სქესის ახალშობილი ბავშვის გვამი. დათვალიერებისას ძალადობის კვალი არ აღმოჩნდა.

●

ღამით სოხუმში, საკომისიო მაღაზიაში შეაღწია დაუდგენელმა დამნაშავემ და იქიდან მოიპარა გერმანული და იაპონური წარმოების ვიდეომაგნიტოფონები, აგრეთვე სხვა ნივთები, რომელთა საერთო ღირებულება 27000 მანეთამდეა.

●

სოხუმში, ასს მთავარი ინჟინერი ვ. ა-ა. (დაბ. 1954 წელს) მივიდა მოქალაქე შ. ც.-ასთან სახლში, პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით მოკლა იგი და მიიმალა.

●

თბილისში, კრწანისის რაიონში, მოქალაქე ა. მ.-ს ბინიდან (დაბადებული 1971 წელს) ნასვამ მდგომარეობაში გადმოხტა აქ სტუმრად მყოფი გოგონა ჟ. გ-ა (დაბადებული 1972 წელს) და ადგილზევე გარდაიცვალა.

●

თერჯოლის რაიონში, რესტორან „ქვედა სიმონეთში“ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პირებმა ბ. ბ.-ძემ (დაბადებული 1964 წ.) თ. ბ-ძემ (დაბადებული 1965 წ.) და დ. ც-ძემ (დაბ. 1960 წ.) დაამტვრიეს რესტორნის ინვენტარი. ერთ-ერთმა მათგანმა ნაგანის სისტემის რევოლვერიდან ჰაერში გაისროლა. ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

●

სოფელ ორტაშენის ახლოს, გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა ვ. მ-შვილმა, დაბადებულმა 1941 წელს, ორლულიანი იარაღის მუქარით მოქალაქე თ. ს.-შვილს წაართვა მანქანა, ხოლო შემდეგ ესროლა ავტომანქანა „ნივას“, რომელსაც აღნიშნული საწარმოს დირექტორი მართავდა.

●

მატარებელ „ბაქო-თბილისში“ დაუდგენელმა დამნაშავემ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს მოპარა ჩემოდანი პირადი ნივთებით.

●

ზუგდიდში ოთხმა დაუდგენელმა პირმა შეაღწია მ. შ-ას ბინაში და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მას 2000 მანეთი, ოქროს ნაკეთობანი და ამერიკული წარმოების 70 კოლოფი სიგარეტი „პალ-მალი“ წაართვა.

●

ვაკის სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია დაუდგენელი პიროვნების 45-50 წლამდე ასაკის მამაკაცის გვამი. დათვალიერებისას ძალადობით სიკვდილის კვალი არ აღმოჩნდა.

●

სოხუმში დააკავეს მოსკოვის მცხოვრები ა. კ.-ა (დაბადებული 1967 წელს), რომელსაც ჩამოართვეს მომწამლავი გაზის სი-ეს 5001 ორი ბალონი.

●

**შენიშვნა:** ყველა აღნიშნულ ფაქტზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმი

ქვირფასო თანამემამულენო! საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების თავდაუზოგავი საქმიანობა საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების მოწყობისათვის. ამ მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით საარჩევნო კანონის შემუშავებაში. ამასთან დაკავშირებით იყო დრამატული მოვლენებიც. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 20 ივნისის სესიის მოწვევა, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოპოზიციისა და ხელისუფლების ერთობლივი მონაწილეობით შემუშავებულიყო მრავალპარტიული საარჩევნო კანონის პროექტი, შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთი ახალგაზრდა ქართველის თავგანწირული — უვადო შიმშილობის აქციის, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების წევრთა და მოსკოვის ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა ანალოგიური აქციების შედეგად. ამის შემდეგაც, საკონსულტაციო კომისიის მუშაობის მსვლელობის დროს, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან სისტემატურად ადგილი ჰქონდა მცდელობას კანონში შეეტანათ ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული დებულებანი და ამით გაეყალბებინათ დემოკრატიული საარჩევნო სისტემის არსი. ასეთ დროს, ჩვენი წარმომადგენლები პრინციპულ და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდნენ ხელისუფალთა მოქმედებას. სხვა შემთხვევაში ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით სასწორზე არ შეგვეგდო ბედი დემოკრატიული არჩევნებისა, რადგან ღრმად გვაქვს გაცნობიერებული ამ არჩევნების სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართველი ერის მომავლისა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. წინააღმდეგობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. გუმბარიძე შეეცადა პოლიტიკური დემაგოგიისა და შანტაჟის გზით გაებათილებინა საკონსულტაციო კომისიის ერთობლივი შრომის შედეგი. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა რადიკალური ზომების გამოყენება; დაიწყო მასობრივი საპროტესტო პოლიტიკური მანიფესტაციები. გაიფიცნენ წარმოება-დაწესებულებები, რისი კულმინაცია იყო სამტრედიის ცნობილი აქცია. ნაწილობრივი უკან დახევის შემდეგ ხელისუფლებამ 17-18 აგვისტოს, სესიის მუშაობის დღეებში, კვლავ მიმართა მისთვის ჩვეულ, მაგრამ ამჯერად თავისი ხასიათით ყველაზე მზაკვრულ ხერხს: ფაქტიურად დაადგა ხალხისა და დემოკრატიის აშკარა ღალატის გზას, როდესაც სესიაზე შეეცადა დაერღვია ყველა ის არსებითი პუნქტი, რომელიც ერთობლივად იყო მიღებული საკონსულტაციო კომისიის მიერ გონივრული კომპრომისის საფუძველზე. თავისი ამ მოღალატური მოქმედებით მან კატასტროფის წინაშე დააყენა როგორც საარჩევნო კანონის, ასევე მთლიანად ქართველი ხალხის ბედი. ხელისუფალთა ამგვარ ხრიკს დაუპირისპირდა ჩვენი ერის ნება და მაღალი პოლიტიკური შეგნება. ეს იყო ეროვნული ოპოზიციის დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველ ხალხს სურს და უნარიც შესწევს ჩაატაროს ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული და არასაბჭოური არჩევნები.

ოპოზიციური ძალების ამგვარმა გამარჯვებამ, კომპრომეტირებულ ხელისუფლებას, ცხადია, გაუათკეცა ძალაუფლების დაკარგვის შიში. ამიტომ ამჯერად იგი, მიმართავს რა აშკარა რევანშის მცდელობას, ყოველმხრივ ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომელიც კითხვის ქვეშ დააყენებს მომავალი არჩევნების დემოკრატიულ ხასიათს და რადიკალური ოპოზიციის მონაწილეობას ამ არჩევნებში. კომუნისტური პარტიის მრავალრიცხოვან მცდელობათა სერიიდან განსაკუთრებით თვალში საცემია ის მიზანდასახული საბოტაჟი და პროვოკაციები, რასაც იგი ფარულად თუ აშკარად ახორციელებს მთელი ქართველი ერის წინააღმდეგ. უკვე დაწყებულია ხელოვნური ეკონომიკური სირთულეები: შეჩერებულია პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებითა და მედიკამენტებით მოსახლეობის მომარაგება, სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენს ნავთობპროდუქტების დეფიციტი, დანაშაულებრივად გრძელდება ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ბლოკადა, სახელმწიფო ხაზინის დაცარიელება, გრძელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობები, რასაც ხელისუფლება აშკარად ხელს აფარებს. ყოველივე ეს შორს გამიზნულ პროვოკაციებს წარმოადგენს, იმპერიულ-კომუნისტური სისტემის გარდაუვალი კრახის წინაშე მდგარი ქართული მარიონეტული ხელისუფლება, რომელიც მთელ იმპერიაში გამოირჩევა განსაკუთრებული რეაქციულობით, ანტიეროვნულობითა და სახიფათო კონსერვატიულობით, ამჟამად მოქმედებს პრინციპით: „ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა".

უკანასკნელ ხანს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მაქინაციებმა. გაკოტრებული ზნეობრივი პოლიტიკური რეპუტაციის გადარჩენისა და შელამაზების მიზნით იგი ქმნის ახალ-ახალ სატელიტურ ორგანიზაციებს. ასე მაგალითად, კომუნისტური პარტიის სტაჟიანი წევრებისა და ყოფილი ფუნქციონერების მიერ უკვე შეიქმნა თავისი ხასიათითა და მიმართულებით ოდიოზური საზოგადოება „სტალინი". იყენებს რა სტალინის სახელს და ავტორიტეტს გარკვეულ წრეებში, ეროვნულ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად, ეს ორგანიზაცია სინამდვილეში წარმოადგენს ინტერფრონტის ერთ-ერთ სახეობას. არჩევნებში ამ საზოგადოების მონაწილეობამ უკვე გამოიწვია ჩვენი არჩევნებისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ნეგატიური დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ თვით საარჩევნო კანონიც კი მსგავს ორგანიზაციებს უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობას, იმ მოსაზრებით, რომ ისინი „ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მოთხოვნებს". იაფფასიანი პოლიტიკური ფარსი გაითამაშა „კომუნისტური ინტელიგენციის" ერთმა ნაწილმა, რომელმაც პარტიების რეგისტრაციის დამთავრებამდე სულ რაღაც ორიოდე დღით ადრე „დააფუძნა" ე. წ. „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი", რომელიც წარმოადგენს კომუნისტური პარტიის საარჩევნო სიის გაგრძელებულ ვარიანტს. ამ „კავშირის" წევრთა მოქმედება მით უფრო აღმაშფოთებელია, რამდენადაც მათი უმრავლესობა, სინამდვილეში არიან რა კომუნისტური პარტიის წევრები, არჩევნებში მონაწილეობენ „დამოუკიდებელი" ორგანიზაციის სახით და ინიღბებიან ეროვნული ლოზუნგებით. აღსანიშნავია, რომ ამ კავშირის თავმჯდომარე ვ. ადვაძე 1989 წლის 11 აპრილს, ე. ი. სისხლიანი 9 აპრილის მესამე დღეს, გაზეთში „კომუნისტი" მთელ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ექსტრემისტებად ნათლავდა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას ექსტრემისტულს უწოდებდა, ხოლო ამ კავშირის ერთ-ერთი მესვეური — რ. გორდეზიანი 1977 წლის მარტში თსუ რექტორატის გაფართოებულ სხდომაზე, რისი ანგარიშიც გამოქვეყნებულია იმავე წლის 1 აპრილის გაზეთ „კომუნისტში", მოითხოვდა მ. კოსტავასა და ზ. გამსახურდიას დაპატიმრებას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დასახელებულ პარტიებს სრულიად საფუძვლიანად უარი უთხრა რეგისტრაციაში გატარებაზე, მაგრამ საბჭოური სასამართლოს მეშვეობით ოფიციოზმა მაინც მოახერხა იგნორირება კომისიის გადაწყვეტილებისა და დღეს ეს საეჭვო ორგანიზაციები უკანონოდ მონაწილეობენ არჩევნებში. საბჭოური სასამართლოს მიერ მსგავსი დარღვევები იქნა დაშვებული სხვა, ე. წ. პოლიტიკურ ორგანიზაციათა არჩევნებში მონაწილეობის სასარგებლოდაც. პოლიტიკური სპექტრის ამგვარი „მრავალფეროვნების" ილუზიის შექმნით კომუნისტური ხელისუფლება ახდენს დემოკრატიული არჩევნების იდეის აშკარა პროფანაციას.

ყოვლად უზნეო მანიპულაციებით კომუნისტური პარტია ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს იმპერიის დიქტატი საქართველოში. ამავე მიზნით იგი უკავშირდება არა მარტო პროკომუნისტურ, არამედ ცრუეროვნულ პარტიებსა და ორგანიზაციებს. სწორედ ასეთი ფარული გარიგება დაიდო კომუნისტურ პარტიასა და ე. წ. კონგრესის ადეპტებს შორის. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ შემდეგს: ა/წლის 13-15 მარტს ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ეს ყოველივე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში არადემოკრატიული გზით „არჩეული" ე. წ. უზენაესი საბჭო, რომელიც არ არის აღჭურვილი ხალხის ნდობის მანდატით, ვერ იქნება ქართველი ერის ნება-სურვილის კანონიერი გამომხატველი და ვერ ილაპარაკებს მისი სახელით. იმჟამად საქართველოს ეროვნული მოძრაობის დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ერის ნება-სურვილის ასეთ გამომხატველად და ამავე დროს მისი ნდობის მანდატით აღჭურვილ სამართალ-სუბიექტად შეიძლებოდა ქცეულიყო ხალხის მიერ არჩეული არაოფიციალური ეროვნული კონგრესი, მაგრამ მსოფლიოს იურიდიულ პრაქტიკაში დღემდე ვერ მოიძებნა პრეცედენტი ასეთი არაოფიციალური სტრუქტურების სამართალ-სუბიექტად ცნობისა საერთაშორისო სამართლის მიერ. ეს ყოველივე ძალზე თვალსაჩინოდ დადასტურდა ბალტიის ქვეყნების მაგალითზე. ამასთან, არაოფიციალური საეჭვო მაქინაციებით „არჩეული" ეროვნული კონგრესი შექმნის ორხელისუფლებიანობის, ეროვნულ მოძრაობაში ოფიციოზის ხელშემწყობი ანტიეროვნული მაფიოზური ძალების შემოჭრის და სამოქალაქო ომის საფრთხეს. ეს ყოველივე უკვე ნათლად იკვეთება ე. წ. კონგრესის მესვეურთა განცხადებებში, რომელნიც მოუწოდებენ კონგრესის არაოფიციალური შეიარაღებული ძალების შექმნისაკენ. ამის გამო კონგრესის იდეა მნიშვნელოვნად გაუფასურდა და ამჟამად მრგვალი მაგიდა აღარ უჭერს მხარს მის არჩევას. ასე რომ, ქართველმა ერმა არ უნდა დაუშვას ორხელისუფლებიანობის საშიში პრეცედენტი და მთლიანად უნდა დაუჭიროს მხარი ახალი, დემოკრატიული კანონის დაცვით მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევას, რომელიც იქნება ნამდვილი ეროვნული პარლამენტი, აღჭურვილი ერის ნდობის მანდატით, ნამდვილი ოფიციალური სამართალ-სუბიექტი, რომელსაც ცნობს საერთაშორისო სამართალი და რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე. საგულისხმოა, რომ კომუნისტური ხელისუფლება დღეს ყოველნაირად მფარველობს კონგრესის არჩევნებს, შესაბამისი შენობებისა და სხვა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფს ამ კამპანიას. ხალხის მოტყუების „ტაქტიკა" იქამდე მივიდა, რომ ვითომდა ანტიკომუნისტური „ეროვნული კონგრესის" არჩევნებისა და ამ ძალების მიერ გამოცხადებული „ეროვნული დაუმორჩილებლობის" მომავალი აქციის ყველაზე მხურვალე მხარდამჭერად მასში მონაწილე „დემოკრატიულ ფრთად" შენიღბული კომუნისტური პარტია მოგვევლინა. ეს კი უახლოეს მომავალში აშკარა საფრთხის წინაშე დააყენებს არა მარტო არჩევნების, არამედ მთელი საქართველოს ბედს. ამ უღირსად სახიფათო ალიანსის მიზანი ერთია: იმ შემთხვევაში, თუ არჩეული იქნება ეროვნული პარლამენტი და ხელისუფლება გადავა ანტიკომუნისტური ძალების ხელში, ცხადია, ამით ბოლო მოეღება იმპერიული სტრუქტურების არსებობას საქართველოში და დაიწყება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი. ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას ჩამოცილებულ კომუნისტურ პარტიას აღარ ექნება ამ პროცესების შეჩერების შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში იგი სცენაზე გამოიყვანს თავის უკანასკნელ დასაყრდენს, ე. წ. „კონგრესს", რომლის საშუალებითაც შეეცდება დაამხოს ეროვნული პარლამენტი და გამოიწვიოს ძმათა შორის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

სამოცდამეათე წელიწადია, რაც ქართველი ხალხი პირთამთენით ცხოვრობს მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო სისასტიკის კომუნისტური რეჟიმის პირობებში. ჩვენ, ვითარცა კაცთმოყვარე ქრისტიანებს, არასოდეს გვიფიქრია ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციისადმი შურისძიებაზე, ვაცხადებთ, რომ მომავალშიც არასოდეს გადავდგამთ ასეთ ნაბიჯს, მაგრამ ამჟამად, როდესაც ჩვენი სამშობლო დგება ისტორიული არჩევანის წინაშე, შეუწყნარებლად მიგვაჩნია კომუნისტთა უზნეო მცდელობანი, მზაკვრობა და ვერაგობა, რასაც ისინი სჩადიან იმპერიული ინტერესების გადასარჩენად. დავიწყოთ იქიდან, რომ დღესდღეობით არ არსებობს საქართველოს კომუნისტური პარტია, არიან მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქართველი წევრები. ჩვენ არ გამოვდევნებივართ ამ ისტორიულ პარადოქსს და არსებული რეალობიდან და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპრომისულად დავთანხმდით მათ მონაწილეობას არჩევნებში. არსებობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე (თბილისი, 1990 წ. 4 სექტემბერი), სადაც ვკითხულობთ: „...პარტიებმა კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება და პარტიის წესდება-პროგრამა". ამ დებულების შესაბამისად ქართველ კომუნისტთა განცხადებას ხელს უნდა აწერდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მ. გორბაჩოვი. ცხადია, ეს ასე არ მომხდარა და ამიტომ რეგისტრაციაში საქართველოს კომუნისტური პარტიის გატარება უკანონო და არასამართლებრივი აქტია. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ" არ შეასრულა სიტყვიერი პირობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გამოყოფის შესახებ, იგი არა მარტო მონაწილეობს არჩევნებში, არამედ ახორციელებს ფაქტობრივ დიქტატს ამ მიმართებით, რითაც სურს საბოლოოდ გადაწყვიტოს არჩევნების ბედი საქართველოში. ხაზგასმით უნდა განვაცხადოთ, რომ დაუშვებლად მიგვაჩნია მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება რომელიმე (ამ შემთხვევაში სკკპ) შეუზღუდავი მონოპოლიის პირობებში. ყველასათვის ცხადია, რომ ამგვარი მონოპოლია ჩვენში უკვე დიდი ხანია წარმოადგენს კომუნისტური პარტიის პრეროგატივას, რასაც იგი უაპელაციოდ ახორციელებს ეკონომიკური ბერკეტების, ინფორმაციის საშუალებებისა და ფინანსური რესურსების შეუზღუდავი უკანონო გამოყენებით. ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ქართველი კომუნისტების გ. გუმბარიძისა და ნ. პითანავას საეჭვო აქტიურობა ხალხის ზურგსუკან სამოკავშირეო ხელშეკრულებების ინტენსიური ხელმოწერების საქმეში. არსებული უზენაესი საბჭო, 1990 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად უკანონოდაა გამოცხადებული, ამიტომ მის მიერ რაიმე ხელშეკრულების დადება თვითნებობისა და პოლიტიკური ავანტურიზმის აშკარა გამოვლენას წარმოადგენს. ასე მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების მე-6 და მე-11 მუხლების მიხედვით 1990 წლის ნოემბრისათვის ეკონომიკური ურთიერთკავშირი რსფსრ-სთან ფაქტობრივ რეალობას წარმოადგენს, მაგრამ თუ 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო რაიმე მიზეზით აღნიშნული ხელშეკრულების დენონსირებას მოახდენს, საქართველოს აუცილებლად მოუწევს უზარმაზარი ჯარიმების გადახდა (მე-6 მუხლის ბოლო ნაწილი).

იმპერიის სხვადასხვა „რესპუბლიკებთან" მსგავსი სახის ხელშეკრულებათა გაფორმებას [illegible] მიგყავართ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებამდე, რაც, ცხადია, დამღუპველია დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნისტური პარტია და მისი მოკავშირენი აშკარად ახორციელებენ ქართველი ერის გათიშვის პოლიტიკას, ყოველი ხერხით ცდილობენ ეროვნული ძალების დისკრედიტაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, რომელსაც ერთნაირი გულმოდგინებით ეწევიან კომუნისტური და ცრუეროვნული პარტიები. როგორც ვხედავთ, დღეს უკვე აშკარად გამოიკვეთა ქართველი ერისათვის უდიდესი საშიშროება, რასაც მივყავართ დემოკრატიული არჩევნების ჩაშლამდე, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე, ორხელისუფლებიანობის პრეცედენტის შექმნამდე და საბოლოოდ კი ძალადობისა და ანარქიის ბატონობამდე.

ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ, მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციებს, აუცილებლად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადაისინჯოს და გაუქმდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ცრუპოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაციის შესახებ. შეწყდეს ოფიციოზის ყოველგვარი ჩარევა საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.
2. შეწყდეს ეკონომიკური საბოტაჟი და ბლოკადა, რასაც ახორციელებს ცენტრალური და ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება.
3. შეწყდეს ეროვნული მოძრაობის დევნა და დისკრედიტაცია.
4. კომუნისტური პარტიის მონოპოლიიდან გამოთავისუფლდეს ინფორმაციის საშუალებანი, პრესა, ტელევიზია, გამომცემლობები. შეწყდეს სახელმწიფო სახსრებისა და სხვა ფონდების ექსპლუატაცია კომუნისტური პარტიის მიერ.
5. გადაისინჯოს და გაუქმდეს კომუნისტური ხელისუფლების მიერ უკანონოდ დადებული ახალი ხელშეკრულებები.
6. სასწრაფოდ განხორციელდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა დეპოლიტიზაცია.
7. გაუქმდეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ვაცხადებთ, რომ თუ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება თანმიმდევრულად არ დაიწყო ა/წლის 14 სექტემბრამდე, შეიქმნება საფრთხე დემოკრატიული არჩევნების ჩაშლისა, რის თავიდან ასაცილებლად მივმართავთ უკიდურესი ფორმის საპროტესტო აქციებს — არსებული ხელისუფლების გადადგომისა და საქართველოში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გაუქმების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, შესაძლო შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ კომუნისტურ ხელისუფლებას და მის მოკავშირეებს, რის შესახებაც ვიმსჯელებთ ა/წლის 16 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დანიშნულ სახალხო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნება მომავალ არჩევნებს.

**ქ. თბილისი. 9 სექტემბერი, 1990 წელი.**

**რედაქციისაგან:**

**კარგად გვესმის, რომ მემორანდუმი არცთუ ერთმნიშვნელოვან გამოხმაურებას გამოიწვევს. კარგად გვესმის — მსგავსი პირდაპირობით ჩვენს პრესაში იშვიათად თუ დასმულა საკითხები. ხოლო თუ რამდენად ობიექტურად, ამას თვით საზოგადოება განსჯის. რედაქციის დიდი სურვილია, მემორანდუმში მოხსენიებული ორგანიზაციები და პიროვნებები გაგებით მოეკიდნონ გამოქვეყნებულ დოკუმენტს, რომელიც — ხაზს ვუსვამთ — საჯაროობის საყოველთაო პრინციპების დაცვის აუცილებლობითაა გამოქვეყნებული და წარმოადგენს ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციების თვალსაზრისსა და პოზიციას, როგორებიცაა ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი და ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი.**

**რედაქცია მზადაა სათანადო პასუხებს ოპერატიულად დაუთმოს ადგილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრომოჭმული ავტონომია და გაუმართლებელი გაორება

ვიწყებ პირდაპირ, სათქმელის შუაგულიდან, ყოველგვარი შესავლისა და „პრობლემის დასაბუთების“ გარეშე. თანაც დავსძენ, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“...

ძალიან დიდ უხერხულობებს ქმნის აჭარაში ავტონომიისა და მისი პოლიტიკური ატრიბუტების არსებობა. ის ხომ შეიძლება, რომ სხვა ავტონომიების ბრმა ანალოგიები, რომლებიც დიდ უხერხულობაში გვაგდებს, დროზე ავიცილოთ თავიდან? **შეიძლება!** და არა მარტო შეიძლება, არამედ ეს აუცილებელიც არის.

მეტად სამწუხაროდ, ყველა სამთავრობო დოკუმენტში, პერიოდულ გამოცემებში, ინფორმაციის წყაროებში, სხვა ავტონომიური ფორმირებების ანალოგიით, გაუაზრებელი ინერციით ისმის და ისმის ყოვლად **გაუმართლებელი** ფრაზა „საქართველო“ და „აჭარა“. მაგალითი: „საქართველოს და აჭარის კულტურის სამინისტრო“, „საქართველოს ტელერადიოკომიტეტი“ და „აჭარის ტელერადიოკომიტეტი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ და გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, „ლიტერატურული საქართველო“ და „ლიტერატურული აჭარა“ (მადლობა ღმერთს, ამჟამად მას ჟურნალი „ჭოროხი“ ჰქვია და არა „ლიტერატურული აჭარა“). ეს დიდი ბედოვლათობაა. ეს ისეთივე უხერხული და, მე ვიტყოდი, სასირცხო სათქმელია, როგორც, მაგალითად, „საქართველო და იმერეთი“, „საქართველო და ქართლი“, „საქართველო და გურია“ და სხვა. არადა, აჭარა ხომ ისტორიული საქართველოს შუაგულია! აჭარა ხომ ყველაზე პირველად ეზიარა ქრისტიანობის განმანათლებლურ პროცესებს! აჭარა ხომ დღეს ყველაზე დიდი ენთუზიაზმით, სამშობლოს ერთიანობის ღრმა და მარადიული რწმენით უბრუნდება თავის ძირძველ სარწმუნოებას, ქრისტიანობას! ამიტომ, ზემოთ დასახელებული პარადოქსალური, ურთიერთგამმიჯნავი ფრაზები და ცნებები დროზე უნდა მოვიცილოთ თავიდან. მეტი დაკვირვებაა საჭირო! ბრმა ანალოგიების უკუგდებაა საჭირო! ადრე, ვთქვათ, ასეთებს შერიგებული იყვნენ ე. წ. განმკარგულებელი ორგანოები, მაგრამ იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ სწორედ გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის წლებში, სულ რაღაც ახლახან შეიქმნა ბათუმში ტელევიზია და მას ეგრეთ წოდებული ავტონომიურობის მსგავსი, მე ვიტყოდი, უმსგავსო ინერციით, ეწოდა არა თუ ბათუმის, არამედ აჭარის ტელევიზია. ასევე ითქმის გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“, გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ შესახებ. იმას კი, ვისაც მოესურვება თქვას, რომ ასე არის საჭირო, რადგან აქ ჯერჯერობით ავტონომია არსებობსო, მოვაგონებ ერთ შესანიშნავ და მეტად კეთილშობილურ ფაქტს: 1958 წლის პირველ იანვარს ქ. ბათუმში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მას ეწოდა არა „აჭარის“, არამედ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ბათუმის** სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი!“ აი, ნახეთ, რა კარგად ჟღერს?! ასე უნდა მომხდარიყო სხვა უწყებებისა და დაწესებულებების მიმართაც. ახლა, როცა საქართველოს უჭირს, მეტი დაფიქრებაა საჭირო, უფრო შორსგამხედაობაა საჭირო. აქედან რომ ვუყურებ, რაოდენ სასაცილოდ მეჩვენება 1957 წლის ე. წ. აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, თბილისში რომ გაიმართა. სამწუხაროდ მაშინ ერთი კაციც არ აღმოჩნდა ეთქვა, რომ აჭარას არავითარი სხვა ხელოვნება და კულტურა, ენა და ლიტერატურა არა აქვს, გარდა მშობლიური ქართულისა და საჭირო არაა ასეთი დეკადის ჩატარებაო.

დიახ, შორსგამხედაობა გვმართებს!..

**ჯემალ ჯაყელი,**
**პოეტი, პროზაიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**20 აპრილი, 1990 წ.**

# ისტორიის სანაგვე ყუთში





**ლენინის** თხზულებებში მრავლად ამოიკითხავთ ასეთ ციტატებს: „...უნდა წავახალისოთ მასობრივი-სანახაობითი ტერორი“... „საჭიროა სასწრაფოდ მასიური ტერორის ჩატარება, ჯარისკაცების, ყოფილი ოფიცრების და სხვათა გამლოთებელი — ასობით მეძავის დახვრეტა. არც ერთი წუთი არ დაიკარგოს;“ „უნდა ვიმოქმედოთ მთელი ძალით. მასიური ჩხრეკები, დახვრეტები — იარაღის შენახვისათვის. მენშევიკებისა და არასაიმედო პირთა მასიური გამოძახებები;“ „ჩატარდეს უმოწყალო მასიური ტერორი კულაკების, მღვდლების, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. საეჭვონი ჩაიკეტონ საკონცენტრაციო ბანაკებში ქალაქგარეთ“, „...დავხვრიტოთ შეთქმულები და მერყევნი ყველგან დაუკითხავად, ზედმეტი, იდიოტური გაჭიანურების დაუშვებლად;“ „მთელი ძალა იხმარეთ, რომ დაიჭიროთ და დახვრიტოთ ასტრახანელი სპეკულანტები და მექრთამეები. ამ ნაძირალებს ისე უნდა გაუსწორდეთ, რომ წლების შემდეგაც ახსოვდეთ“. „ჩამოახვრჩეთ: 1. სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოები; 2. სურსათის კომისარიატი, 3. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი; 4. სამხედრო კომისარიატი. უაზრო გაჭიანურებისა და დაგვიანებისათვის“; „დახვრეტით დაემუქრეთ იმ დაუდევარს, ვისაც, განაგებს რა კავშირგაბმულობას, არ შეუძლია მოგვცეს კარგი გამაძლიერებელი და უზრუნველყოს თქვენი სატელეფონო კავშირი ჩემთან;“ „თუ არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, მე პირადად მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც“, „რევტრიბუნალების საჯაროობა უკვე საჭირო არ არის... გაძლიერდეს რეპრესიების სისწრაფე და ძალა“; „ახლა საქმე მხოლოდ ტექნიკურ ზომებშია, რომლებიც დააჩქარებს ჩვენს სასამართლოებს, მენშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებს“; „ხომ არ სძინავს ჩვენთან „ნკიუსტს“ (იუსტიციის სახალხო კომისარიატს). აქ საჭიროა რიგი საჩვენებელი პროცესებისა, მხეცურ წამებათა გამოყენებით. „ნკიუსტს“ ალბათ არ ესმის, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითხოვს ახალ მძინვარე დასჯათა ახალ ხერხებს“.

1922 წლის 10 ნოემბერს ლენინი მოლოტოვს სწერს: „...განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნების მიერი წინააღმდეგობების ჩახშობამდ ...ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელობას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ არ დაივიწყონ ეს ამბავი ათეული წლის მანძილზე: პარტიის ყრილობაზე მოეწყოს ყველა, ან თითქმის ყველა დელეგატის საიდუმლო თათბირი... თათბირზე მივაღებინოთ ყრილობის საიდუმლო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განძეულობის ამოღება, განსაკუთრებით ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით, ისე, რომ არაფერს მოვერიდოთ და ავასრულოთ კიდევაც უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით რაც უფრო მეტ ბურჟუაზიასა და რეაქციულ სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი“.

**ბადრი ვადაჭკორიას** ფოტოები.

# ალორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## საწარმოების, კოოპერატივების, კერძო პირების საყურადღებოდ!

ვისაც საკუთარი პროდუქციის რეკლამირება ან განცხადების გაკეთება სურს

თქვენს განკარგულებაშია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მრავალტირაჟიანი (500 000 ეგზემპლიარი) გაზეთი — „ახალგაზრდა ივერიელის“ სარეკლამო გვერდი.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ: ტელეფონზე —

**37-58-25**

**11 სთ-დან 14 სთ-მდე**

შაბათ-კვირის გარდა.

ხელშეკრულება შეგიძლიათ გააფორმოთ მისამართზე:

**ბუდაპეშტის ქ. № 1**

ფირმა „არგოს“ სარეკლამო სააგენტო.

ამავე ტელეფონზე და მისამართზე შეგიძლიათ შეუკვეთოთ სატელევიზიო რეკლამა გადაცემა

**„ილუზიონის“**

ეთერული დროისათვის.

გახსოვდეთ „ილუზიონის“ ეთერული დრო საუკეთესო დროა რეკლამისათვის.

ფირმა „არგოს“ სარეკლამო სააგენტო.


უმადურთა და უნდილთა ბევრჯერ გვსმენია ფიცი
(უმი რძითაა გაზრდილი, ადამიანი, ვიცი).
თვალი დაუდგეთ, სისარბეს ძეგლი დაუდგან ლამის,
აღარც სიწმინდე ანაღვლებთ, აღარც სისწორე ლარის.
სხვა ჰიამ თუ არ გამოგზრა, რა შუაშია „სხვა დრო“,
გენით, გონით და გუმანით კვლავ შენ გაღმერთებ,
მადლო!
მტერი ვალაღეთ, ვაცინეთ უნიათობით ჩვენით, —
თეთრი კბილის და თეთრივე, ალალი გულის ჩენით.
ლუკმა გვქონდა და ვუყოფდით, ვუყოფდით გულს და
მიწას,
დახე, დაცინვას ბედისას, — სახლს დღეს სწორედ ის
გვიწვავს.
რად დავიჯერო, მითხარით, ბანზე ნასროლი სიტყვის,
ჩვენი რომ ეცოტავება, სხვის ჯავრსაც ჩვენზე იყრის.
მოყირჭებული ურცხვობით (აღარც რომ ეთქმის
მალვით),
მოთხრას უპირებს მახპინძელს უმადურობის შხამით.
ბედის მწერალიც კი ჰკვირობს, ვერ გაუგია, ბორგავს,
რა ფილტვი უძლებს, რა ტვინი ამდენ ბალღამს და
ბოლმას.
აღარც ნამუსი შემორჩათ, აღარც ნამუსის ქუდი,
კი ვიცით, სადაც მარხია ძაღლის თავი და კუდი.
შემოგვხევია ყოველმხრივ ცეტი, ბლენძი და ქლესა,
ყველა ერთად და ცალცალკე სისხლიან ნაჯახს ლესავს.
როცა მგელტუჩა არ ცხრება, როცა საზარლად ყმუის,
ერთურთს ნუ ვბერტყავთ, გვეყოფა, შებერტყვა
გვმართებს ყურის.
დემოკრატია, წელს მაინც, ყოველ თვე ახლად ჰყავის,
პირი გავხსენით, ქადაგად ერთად დავეცეთ ლამის.
ყოვლად უნაკლო ქართველის ჭერაც ბოგინობს მითი,
სხვის ნაკლს დაეძებს მარტოდენ თავქარიანის თითი.
ვინ მისდევს, ანუ ვინ იცავს ახლა დავითის მცნებას,
სწავლის ძირს ბევრმა უგანა, კენწეროს ისეც ხწვდება.
ულლის გაწევას ვთაკილობთ, ველარ მითქვია წყნარად,
მიწაც იმიტომ შემოგვწყრა, შრომასთანა ვართ მწყრალად.
მჭამელთა კასტად ვიქეცით, ჩვენსავ სამშობლოს
ვღლეტავთ,

## რეზო თაბუკაშვილს

## მადლი

ხვალ სრულდება 40 დღე ბატონ რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალებიდან. ამასთან დაკავშირებით მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი.

უშრომლად ხვავი, ბარაქა, სად ან ვინ ნახა, ნეტა?!
დაწრეტილნი და დაცლილნი ვართ პარტიებით სავსე,
ჩვენს ბედს, აბა ვინ დაჰყეფდა, რომ ვმრავლდებოდეთ
ასე.
...და თუმცა ვერცხლზე ზყიდიან, უკულმართს წალმა
ვერ ცვლი,
მაინც გიზგიზებს, სიკეთის ვერ ამოგიქრეს ცეცხლი.
ნაწამებმა და ნაგვემმა შენ სხვა იწამე ხატად,
არ გაახარო, ბოროტი კვლავაც დასტოვე სახტად.
დრო არი, უნდა შეიკრა ერთი ჰიმნით და დროშით,
მადლსა და მადლის სპლოცავს, ალბათ, ვერავინ მოშლის.
ვერ ჩაკლან ნიჭი თმენისა დიდი იობის მსგავსად,
იწყებ საქართველოთი და არ მთავრდები არსად.

ზაზა კაციაშვილი

P. S.
ყველას თავისას მიუზღავს, ღმერთი რაკია მაღლით,
გადამრჩენელო მადლისა, შენ გადაგარჩენს მადლი!


## საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ჰუმანიზმი“

### ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სტუდია

## აცხადებს კონკურსს



ქართული ხალხური ცეკვების სტუდიაში მიხაღებად 3-წლიანი სწავლების ვადით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს 7-დან 12 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ ფიზიკური მონაცემები, მუსიკალური სმენა და რიტმის გრძნობა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება სტუდიის ხელმძღვანელის სახელზე;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. ცნობები მშობლების საქმიანობის შესახებ;
4. ცნობები საცხოვრებელი ადგილიდან;
5. ცნობები ჯანმრთელობის შესახებ;
6. დახასიათება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან;
7. ორი ფოტოსურათი (3X4).

განცხადებების მიღება იწარმოებს ა. წ. 1 ოქტომბრამდე ყოველდღე 10-დან 17 სთ-მდე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის 88 (ყოფილი კალინინის ქუჩა). ს. ზაქარიაძის სახ. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის შენობა. ცნობებისათვის ტელ. 37-55-93, 10-დან 20 სთ-მდე ყოველდღე გარდა კვირისა.


ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.


## 10 სექტემბერს

დაწყებითი კლასის მოსწავლეებს (1-დან 4 კლასამდე) ვიწვევთ კერძო გაძანგრძლივებულ ჯგუფში.

მსურველებს გთხოვთ დარეკოთ: ტელეფონი — 36-49-07 ან 36-31-32. მისამართი სიმონ ჩიქოვანის ქ. № 24-ა.



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოლზარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400
უე 00916

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
ვ. კოსტავას ქ. № 14.